ახალი განათლება

2012 წელი, 7 ივნისი – 13 ივნისი

ფასი 1 ლარი 30 თეთრი

№22 (576) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

საქართველო და ქართველები ოსმაღურ საარქივო დოკუმენტებში



გვერდი 3

მეთოდიკა

ფიზიკის პედაგოგთა დასახმარებლად

გვერდი 5

იურისტის კონსულტაცია

პედაგოგთა შეკითხვებს პასუხობს სამთპ-ს იურისტი თამარ ავალიანი

გვერდი 8

ერთიანი ეროვნული გამოცდები – 2012

2012 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩატარების განრიგი

28 და 29 ივნისი (პირველი სესია, მეორე სესია) – ქართული ენა და ლიტერატურა;
2 ივლისი (მეორე სესია) – უცხოური ენა (გერმანული ენა);
2, 3 და 4 ივლისი (მეორე სესია) – უცხოური ენა (ინგლისური ენა);
5 ივლისი (მეორე სესია) – უცხოური ენა (ფრანგული ენა);
5 ივლისი (მეორე სესია) – უცხოური ენა (რუსული ენა);
6 ივლისი (პირველი სესია) – ლიტერატურა;
6 ივლისი (მეორე სესია) – სტუდენტთა საგრანტო კონკურსი;
9 და 10 ივლისი (პირველი სესია, მეორე სესია) – ზოგადი უნარები;
11 ივლისი (მეორე სესია) – გეოგრაფია;
12 ივლისი (პირველი სესია) – ფიზიკა;
16 ივლისი (პირველი სესია, მეორე სესია) – ისტორია;
17 ივლისი (პირველი სესია, მეორე სესია) – მათემატიკა;
18 ივლისი (მეორე სესია) – ბიოლოგია;
19 ივლისი (პირველი სესია) – ქიმია.

წესები, რომლებიც აბიტურიენტმა ტესტირების პროცესში უნდა დაიცვას:

– სამუშაო მაგიდებთან დასხედით იმ ნომრების მიხედვით, რომლებიც რეგისტრაციის დროს დაგირიგდათ;

– არ დააწყოთ მერხზე არც ერთი ნივთი პირადობის მოწმობის, გელიანი კალმის (რომელიც გამოცდის დაწყებამდე დაგირიგდებათ), ტესტის რვეულისა და პასუხების ფურცლის გარდა;

– სამუშაო მაგიდაზე რაიმე სხვა ფურცლის აღმოჩენის შემთხვევაში მიიღებთ გაფრთხილებას, მსგავსი ან ნებისმიერი სხვა დარღვევის განმეორების შემთხვევაში მოიხსნებით გამოცდიდან;

– ვალდებული ხართ ტესტების რვეულებისა და პასუხების ფურცლების დარიგებისას დაკვირვებით, სათითაოდ გადაფურცლოთ ტესტის რვეული და პასუხების ფურცელი კურატორთან ან მეთვალყურესთან ერთად, რათა დარწმუნდეთ, რომ ტესტის რვეული და პასუხების ფურცელი დაუზიანებელია, რის შემდეგაც სექტორის უწყისში მოაწერთ ხელს დაუზიანებელი ტესტის რვეულისა და პასუხების ფურცლის მიღების თაობაზე;

– თუ ხარვეზიანი ტესტის რვეული ან პასუხების ფურცელი შეგხვდათ, მას ახლით შეგიცვლიან;

– პასუხების ფურცელზე კურატორის ან მეთვალყურის მიერ დაკრული შტრიხკოდის ნომერს საკუთარი ხელით გადაიტანთ სექტორის უწყისის შესაბამის გრაფაში;

– არ შეიძლება შტრიხკოდის საწერი კალმით გაფერადება ან სხვაგვარი დაზიანება! ასეთ შემთხვევაში ნაშრომი არ გასწორდება;

– ტესტზე მუშაობის დაწყება შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც დასრულდება ტესტების რვეულებისა და პასუხების ფურცლების დარიგება (პასუხების ფურცლებზე დაიკვრება შტრიხკოდები) და დაიწყება საგამოცდო დროის ათვლა. ამის თაობაზე თქვენ გაცნობებთ გამოცდის კურატორი ან მეთვალყურე;

– პასუხების ფურცლის შევსება დასაშვებია მხოლოდ გელიანი კალმით, რომელიც გამოცდის დაწყებამდე დაგირიგდებათ;

– იმ შემთხვევაში, თუ პასუხების ფურცლის შევსებისას გამოიყენებთ განსხვავებულ კალამს, მიიღებთ გაფრთხილებას და ჩამოგერთმევათ პასუხების ფურცელი, რომლის ნაცვლად გადმოგეცემათ პასუხების სათადარიგო ფურცელი, მსგავსი ან ნებისმიერი სხვა დარღვევის განმეორების შემთხვევაში მოიხსნებით გამოცდიდან;

– პასუხების ფურცელი, რომლის შევსებისას გამოიყენებთ სხვა კალამს, არ გასწორდება;

– თუ დროზე ადრე დაიწყებთ ტესტზე მუშაობას, მიიღებთ გაფრთხილებას, მსგავსი ან ნებისმიერი სხვა დარღვევის განმეორების შემთხვევაში მოიხსნებით გამოცდიდან;

– კურატორს ან მეთვალყურეს შეგიძლიათ მიმართოთ მხოლოდ ხელის აწევით;

– გამოცდის მსვლელობისას, საჭიროების შემთხვევაში, შეგიძლიათ დროებით დატოვოთ საგამოცდო სექტორი თანმხლებ პირთან ერთად. ეს დრო არ დაემატება საგამოცდო დროს;

– ორი აბიტურიენტი ერთდროულად ვერ დატოვებს საგამოცდო სექტორს; – აკრძალულია კურატორის ან მეთვალყურისათვის ტესტის შინაარსთან დაკავშირებული კითხვების დასმა. ამ დროს მიიღებთ გაფრთხილებას, დარღვევის განმეორების შემხვევაში მოიხსნებით გამოცდიდან;

– აკრძალულია გამოცდის პროცესის დროს საუბარი. ერთმანეთთან გადალაპარაკების შემთხვევაში მიიღებთ გაფრთხილებას, მსგავსი ან ნებისმიერი სხვა დარღვევის განმეორების შემთხვევაში მოიხსნებით გამოცდიდან;

– ერთმანეთის დახმარების მცდელობის ან სხვა პირისაგან დახმარების მიღების შემთხვევაში მიიღებთ გაფრთხილებას; მსგავსი ან ნებისმიერი სხვა დარღვევის განმეორების შემთხვევაში მოიხსნებით გამოცდიდან;

– დამხმარე მასალის გამოყენების შემთხვევაში მიიღებთ გაფრთხილებას. განმეორების შემთხვევაში მოიხსნებით გამოცდიდან;

– აკრძალულია ლექსიკონის, პეიჯერის, მობილური ტელეფონის, კალკულატორის ან სხვა ელექტრონული ხელსაწყოს გამოცდაზე შეტანა. მათი აღმოჩენის შემთხვევაში, თუნდაც გამორთული იყოს, დაუყოვნებლივ მოიხსნებით გამოცდიდან;

– გამოცდის დასრულებამდე 10 წუთით ადრე შეგახსენებთ დროს, რათა დროულად დაასრულოთ ტესტზე მუშაობა;

– დრო არავის დაემატება (გარდა იმ აბიტურიენტებისა, რომელთაც აქვთ სამედიცინო ცნობით დადასტურებული ფუნქციონალური დარღვევები);

– თუ დროზე ადრე დაასრულებთ ტესტზე მუშაობასა და პასუხების ფურცლის შევსებას, ხელის აწევით მიმართავთ მეთვალყურეს ან კურატორს, რომელსაც დადგენილი წესით ჩააბარებთ ტესტის რვეულს, პასუხების ფურცელს და მხოლოდ ამის შემდეგ დატოვებთ საგამოცდო სექტორს;

– არ გასწორდება იმ აბიტურიენტის ნაშრომი, რომელიც საგამოცდო დროის ამოწურვისთანავე არ შეწყვეტს მუშაობას და არ დახურავს ტესტს; – არ გასწორდება იმ აბიტურიენტის ნაშრომი, რომელიც პასუხების ფურცელს დააწერს სახელს, გვარს ან პიროვნების იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემცველ რაიმე სხვა ინფორმაციას, მაგ., მეტსახელს! ან რაიმე სახის ისეთ გრაფიკულ გამოსახულებას, რომელიც დაკავშირებული არ არის ტესტურ დავალებასთან;

– ტესტის რვეულისა და პასუხების ფურცლის ჩაბარების ფაქტს ხელმოწერით დაადასტურებთ სექტორის უწყისში;

– წესრიგის დარღვევის ან საგამოცდო პროცესში მონაწილე პირის შეურცხყოფის შემთხვევაში მოიხსნებით გამოცდიდან;

– გახსოვდეთ, პასუხების ფურცლის გაკეცვა არ შეიძლება!

– გაკეცილი პასუხების ფურცელი არ გასწორდება;

თქვენ ვალდებული ხართ დაემორჩილოთ გამოცდის კურატორის, მეთვალყურის ან სხვა პასუხისმგებელი პირის ნებისმიერ გადაწყვეტილებას, მათ შორის, გადაწყვეტილებას გამოცდიდან თქვენი მოხსნის შესახებ.

თუ აბიტურიენტი მიიჩნევს, რომ დაირღვა საგამოცდო პროცედურით დადგენილი წესი, მას შეუძლია გამოცდებს შორის პერიოდში შეიტანოს განცხადება სააპელაციო საბჭოს სახელზე, საგამოცდო პერიოდში საგამოცდო ცენტრთან გახსნილ სპეციალურ პუნქტში

ინფორმაცია

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი სამინისტროს გამოცდების ეროვნულ ცენტრში საგნობრივი ჯგუფების ექსპერტებს შეხვდა. შეხვედრის მიზანი 2012 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებთან დაკავშირებული საკითხების განხილვა იყო.

მინისტრის განცხადებით, სისტემა მზად არის გამოცდების შეუფერხებლად და მაღალ დონეზე ჩასატარებლად. საგამოცდო პროცესების ორგანიზებულად წარმართვისათვის სრული მზადყოფნა გამოთქვეს გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელობამ და საგნობრივმა ექსპერტებმაც.

2012 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების ტესტური დავალებები ინგლისში დაიბეჭდა. ტესტები მალე საქართველოში ჩამოვა და, უსაფრთხოების მიზნით, სპეციალურ საცავებში განთავსდება.

ერთიანი ეროვნული გამოცდები 28 ივნისს დაიწყება და 19 ივლისს დასრულდება. წელს აბიტურიენტები ოთხ სავალდებულო საგანს ქართულ ენასა და ლიტერატურას, უცხოურ ენას (ინგლისური, ფრანგული, გერმანული ან რუსული), ზოგად უნარებსა და მეოთხე არჩევით საგანს ჩააბარებენ. წელს აბიტურიენტს მეოთხე სავალდებულო საგნად ერთ-ერთი, რამდენიმე ან შვიდივე საგანი – ლიტერატურა, გეოგრაფია, ფიზიკა, მათემატიკა, ბიოლოგია, ქიმია, ისტორია შეეძლო აერჩია.

2012 წელს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე სიახლეები რამდენიმე მიმართულებით ხორციელდება: მეორადი ჩარიცხვები გაუქმდა და, შვიდის ნაცვლად, აბიტურიენტებს თავიდანვე ოცი სასურველი ფაკულტეტის არჩევის საშუალება ჰქონდათ, ამით გამოცდების საბოლოო შედეგების გამოცხადება დაჩქარდება და, ოქტომბრის ნაცვლად, აგვისტოს ბოლომდე გახდება ცნობილი. ამდენად, 2012 წელი აბიტურიენტებისა და მათი მშობლებისთვის ნაკლებად სტრესული და უფრო კომფორტული იქნება.

წელს მეოთხე არჩევით საგნად უმაღლესმა სასწავლებლებმა მხოლოდ მაპროფილებელი სავალდებულო საგნები დააწესეს. 10%-ით გაიზარდა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი სამედიცინო და იურიდიულ ფაკულტეტებზე. შესაბამისად, სამედიცინოზე და იურიდიულზე ჩაბარების მსურველებმა სამ საგანში – 35%-იანი, ხოლო მეოთხეში – უცხო ენაში 30%-იანი ბარიერი უნდა გადალახონ.

2012 წელს, პირველად, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე რეგისტრაცია აპლიკანტებმა მხოლოდ ინტერნეტით, სამინისტროს გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე (www.naec.ge; online.naec.ge) გაიარეს. აბიტურიენტებისთვის online რეგისტრაცია კომფორტული იყო, რადგან რეგისტრაციის ვადის ამოწურვამდე რამდენჯერმე შეეძლოთ არჩევანის შეცვლა.

* * *

ერთიანი ეროვნული გამოცდების დაწყებასთან დაკავშირებით, საქართველოს განათლებისა და მენეიერების სამინისტროში საორგანიზაციო შტაბის მორიგი სხდომა გაიმართა. შტაბის წევრთა განცხადებით, ისევე როგორც საატესტატო, ასევე ერთიანი ეროვნული გამოცდები წელს წარმატებით დასრულდება და მის მაღალ დონეზე ჩატარებას თავად უზრუნველყოფენ.

სამინისტროში გამართულ საორგანიზაციო შტაბის სხდომას ესწრებოდნენ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ზურაბ ჭიაბერაშვილი, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი ალექსანდრე ხეთაგური, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე გიორგი ლორთქიფანიძე, თბილისის მერის მოადგილე ანდრია ურუშაძე და გამოცდების ეროვნული ცენტრის ახალი დირექტორი ხატია

დეკანოიძე. დიმიტრი შაშკინმა და შტაბის წევრებმა მუშაობის პირველ ეტაპზე სკოლებში ჩატარებული CAT-ის გამოცდები შეაჯამეს, რომელსაც მაღალი შეფასება მისცეს და ერთიან ეროვნულ გამოცდებთან დაკავშირებული ყველა საკითხი განიხილეს როგორც შინაარსობრივი, ასევე ლოჯისტიკური თვალსაზრისით. დაკისრებული პასუხისმგებლობის ფარგლებში, საგამოცდო პროცესში ჩართულმა შტაბის თითოეულმა წევრმა, შეხვედრაზე იმ სამუშაოებზე ისაუბრა, რომელიც მისმა უწყებამ უკვე განახორციელა და რასაც მომავალში გეგმავს.

2011-2012 სასწავლო წლის საატესტატო და ერთიანი ეროვნული გამოცდების საორგანიზაციო შტაბი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში სპეციალურად გამოცდების მაღალ დონეზე ჩატარების მიზნით შეიქმნა. შტაბს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი ხელმძღვანელობს. საორგანიზაციო შტაბის შემადგენლობაში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ზურაბ ჭიაბერაშვილი, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი ალექსანდრე ხეთაგური და საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე გიორგი ლორთქიფანიძე შედის.

ანალოგიური სამუშაო შეხვედრები, რომლის მიზანია საგამოცდო პროცესი მაღალ დონეზე, ხარვეზებისა და შეფერხებების გარეშე წარიმართოს, გამოცდების პერიოდშიც გაიმართება, შეჯამდება და გამოცდების მიმდინარეობა და შედეგები შეფასდება.

* * *

2011-2012 სასწავლო წლის საატესტატო გამოცდები წარმატებით დასრულდა. მოსწავლეებმა თავიანთი შესაძლებლობები 8 საგანში გამოსცადეს. გამოსაშვებ გამოცდებში ათასობით ადამიანი იყო ჩართული. გამოცდების ორგანიზება და მაღალ დონეზე ჩატარება სამინისტროს გამოცდების ეროვნული ცენტრისა და სამინისტროს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის თანამშრომლებმა უზრუნველყვეს. მნიშვნელოვანია, რომ მიუხედავად გატარებული საკადრო პოლიტიკისა საატესტატო გამოცდებს საფრთხე არ შექმნია და მაღალი შედეგებით დასრულდა.

მიმდინარე წელს გამოსაშვებ გამოცდებში მონაწილეთა მხოლოდ 5%-ზე ნაკლებმა ვერ გადალახა ბარიერი(5.5), მაშინ როდესაც გასულ წელს 17%-მა ვერ დაძლია საატესტატო გამოცდები, რომელზედაც, მინისტრის გადაწყვეტილებით, სამ საგანში ბარიერი დაწეული იყო და 5.2-ით განისაზღვრებოდა.

საატესტატო გამოცდები გასული წლის მსგავსად წელსაც „CAT“-ის ტიპის საგამოცდო მოდელით ჩატარდა. გამოცდების უხარვეზოდ წარმართვა და მისი ტექნიკური უზრუნველყოფა სამინისტროს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემამ განახორციელა. ყველა საგამოცდო ოთახში ჩართული იყო ვიდეოკამერები და ხმის ჩამწერი აპარატურა. პროცესს 2000-ზე მეტი მეთვალყურე და 600 ITსპეციალისტი აკვირდებოდა. საატესტატო გამოცდებში 41 ათასამდე მოსწავლე მონაწილეობდა. საგნების მიხედვით, საშუალო 8 ქულა დაფიქსირდა, რაც ძალიან მაღალი მაჩვენებელია. შედეგების საბოლოო სტატისტიკა ასეთია:

ბარიერი ვერ გადალახა

	2012 წელს	2011 წელს
ქართული ენა და ლიტერატურა	1%	20%
უცხო ენა	2 %	20%
ისტორია	1%	10%
გეოგრაფია	1%	10%
ფიზიკა	3%	25%
ქიმია	1%	25%
ბიოლოგია	1%	10%
მათემატიკა	1%	20%

2011-2012 სასწავლო წლის საატესტატო გამოცდების წარმატება პირველ რიგში სწავლის ხარისხის გაუმჯობესებამ, უცხო ენის, საბუნებისმეტყველო და ტექნიკური საგნების სწავლების გაძლიერებამ, გაზრდილმა მოტივაციამ, სკოლებში „აინშტაინის ლაბორატორიების“ დანერგვამ განაპირობა. წელს მაღალი აკადემიური მოსწრება აჩვენეს არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეებმაც. მათგან ბარიერი მხოლოდ 10%-მა ვერ გადალახა, რაც ნიშნავს, რომ პროგრამა „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“, რომელიც პრეზიდენტის მიერ არის ინიცირებული, წარმატებით მიმდინარეობს.

სამინისტროს ძალისხმევით საჯარო სკოლები 11 ათასი ახალი კომპიუტერით აღიჭურვა, წელს პირველად, გამოცდები 1500 ახალი School Box-ის თანამედროვე სისტემის გამოყენებით ჩატარდა, რომელიც სტაბილურ, უსაფრთხო ინტერნეტკავშირს უზრუნველყოფდა.

სამინისტროში ასევე შექმნილი იყო გამოცდების საორგანიზაციო შტაბი, რომელშიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად, ჩართულები იყვნენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსებისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროები.

ასევე შეუფერხებლად და მაღალ დონეზე ჩატარდება ერთიანი ეროვნული გამოცდებიც. ამის გარანტი სამინისტრო და გამოცდების ეროვნულ ცენტრის ახალი ხელმძღვანელობაა.

* * *

პროექტში „Summer Job“ მონაწილეობის მსურველთა დამატებითი რეგისტრაცია 4 ივნისს დილის 9 საათზე დაიწყო (საიტზე – www.summerjob.ge.) და ოც წუთში დასრულდა. სტუდენტებისთვის ვაკანტური 1500-ზე მეტი ადგილი იყო შეთავაზებული. დროის ასეთ მცირე მონაკვეთში ადგილების შევსება იმაზე მეტყველებს, რომ პროექტი მოთხოვნადია და სტუდენტების დიდ დაინტერესებას იწვევს.

პროგრამაზე – Summer Job სტუდენტთა რეგისტრაციის პირველი ეტაპი 20 მარტიდან დაიწყო და ინტერნეტით, დასწრების პრინციპით, განხორციელდა. დარეგისტრირებული სტუდენტები, რომლებიც დროულად არ გამოცხადდნენ დამსაქმებლებთან შრომითი ხელშეკრულების გასაფორმებლად, ავტომატურად პროექტს გამოეთიშნენ. ასეთი სტუდენტების რიცხვი 7%-ზე ნაკლებია. გამოთავისუფლებულ სამუშაო ადგილებზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 4 ივნისს დამატებითი რეგისტრაცია გამოაცხადა.

დამატებით რეგისტრაციამდე სტუდენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ, წინასწარ შეერჩიათ დარჩენილი ვაკანსიებიდან სასურველი სამუშაო ადგილი. ვაკანსიების შესახებ ინფორმაციის მოძიება მათ პროექტის ვებგვერდზე შეეძლოთ.

საქართველოს პრეზიდენტის მიერ ინიცირებული პროექტი Summer Job საქართველოში წელს პირველად ხორციელდება. პროექტი საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ზაფხულის არდადეგების პერიოდში, 20 ივლისს ამოქმედდება და 20 აგვისტომდე გასტანს. მასში მონაწილეობა საქართველოში ავტორიზებული უნივერსიტეტების ბაკალავრიატის სტუდენტებს შეუძლიათ. პროექტის ფარგლებში, ოცდახუთი ათასი სტუდენტი დასაქმდება და მათი ხელფასი 500 ლარი იქნება.

სტუდენტები სამოცდაათამდე სფეროში დასაქმდებიან, კერძოდ: სახელმწიფო დაწესებულებებში, ბიზნეს და არასამთავრობო სექტორებში, იურიდიულ კომპანიებში, მუზეუმებში, საავადმყოფოებში, თვითმმართველობის ორგანოებსა და ა.შ. საპრეზიდენტო პროექტში სახელმწიფო უწყებები და კერძო სექტორია ჩართული.

პროექტის Summer Job მიზანია, სტუდენტებმა კვალიფიკაციის ამაღლება და გამოცდილების მიღება შეძლონ. გამომუშავებული თანხით კი, საკუთარი სწავლა დააფინანსონ ან საკუთარი სურვილისამებრ გამოიყენონ. ამგვარი პრაქტიკა დანერგილია და წარმატებით ხორციელდება დასავლეთის ქვეყნებში.

* * *

საქართველოს პრეზიდენტის მიერ ინიცირებული პროექტი, რომელიც მოზარდებში სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას გულისხმობს, წარმატებით ხორციელდება. პროექტის ფარგლებში, დედაქალაქის 30 საჯარო სკოლას შორის კალათბურთში სასკოლო ჩემპიონატი ჩატარდა. ჩემპიონის თასისთვის ფინალურ ეტაპზე ერთმანეთს №52 საჯარო სკოლისა და პირველი ექსპერიმენტალური სკოლის გუნდები დაუპირისპირდნენ.

სასკოლო ჩემპიონატი თბილისის 24-ე საჯარო სკოლისა და განათლების ლიდერთა ლიგის ინიციატივით ჩატარდა. შეხვედრას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი, მინისტრის მოადგილე გიორგი ჩახნაშვილი და კალათბურთის ფედერაციის წარმომადგენლები დაესწრნენ.

პრეზიდენტის ინიციატივით, 2011 წელს სამინისტროს მიერ ფიზიკულტურის გაკვეთილების სპორტის გაკვეთილებით ჩანაცვლება განხორციელდა, შეიქმნა შესაბამისი სასწავლო პროგრამა, გადამზადდნენ პედაგოგები, კეთილმოეწყო ინფრასტრუქტურა, ამით პროცესი მოსწავლეებისთვის უფრო საინტერესო და აზარტული გახდა. სპორტული ჩემპიონატები, სპორტის პოპულარიზაციას და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას უწყობს ხელს, ასევე ემსახურება მოზარდებს შორის სპორტული რესურსის გამოვლენას და მათ წახალისებას.

სპორტის გაკვეთილების დანერგვის შემდეგ საჯარო სკოლებში ოცდაოთხი სპორტული ლიგა შეიქმნა, მოსწავლეები ერთმანეთს სპორტის ამდენივე სახეობაში ეჯიბრებიან.

* * *

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ ჩოხატაურის რაიონის სოფელ ქვაბღაში ახალი სკოლა ააშენა.

სოფელ ქვაბღის სკოლის ძველი, საუკუნოვანი ხის შენობა 1985 წლიდან ავარიულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, რამდენიმე წელი ამ სკოლის 111 მოსწავლე დროებით თავშესაფარში, არაკომფორტულ გარემოში სწავლობდა. დღეს სოფლის მოზარდები თანამედროვე სტანდარტების საჯარო სკოლაში აგრძელებენ სწავლას.

ახალი სკოლა თანამედროვედაა აღჭურვილი, აქვს ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასი, შენდება სპორტული მოედანი, გათვლილია 150 მოსწავლეზე.

2012 წელს სკოლა ათმა მოსწავლემ დაამთავრა, ყველა მათგანმა საატესტატო გამოცდები წარმატებით ჩააბარა და სწავლის გაგრძელებას გეგმავს.

საქართველო და ქართველები ოსმაღურ საარქივო დოკუმენტებში

„საქართველო და ქართველები ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში“ მუმინ ილდიზთაშის ავტორობით გამოცემულ კრებულში აისახა, რომლის პრეზენტაციაც 26 მაისს საქართველოს თეატრის, მუსიკისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში მოეწყო. ჩამოტანილია 1000-ზე მეტი უნიკალური დოკუმენტის ასლი. ამავე დღეს, გაიხსნა უნიკალური გამოფენა და დამთვალიერებელს საშუალება მიეცა, ექსპოზიციაზე 40 დოკუმენტის ასლი ენახა, რომელიც ამ დრომდე ოსმალეთის არქივებში იყო დაცული და ქართული ისტორიოგრაფიისათვის უცნობი იყო.

საქართველოსთან მეგობრობის ასოციაციის თავმჯდომარე ალი რიზა ალთუნელი წიგნის წინასიტყვაობაში აღნიშნავს: *„დიდ მადლობას ვუხდი მუმინ ილდიზთაშს, რომელმაც წლები შეალია არქივში მუშაობას და თავისი გულმოდგინე შრომით ჭა ნემსით ამოავსო“*. წიგნის ქართულად თარგმანის კოორდინატორია ემინ შექერჯი, მთარგმნელები: ირაკლი ართმელიძე და გელა გუნია.

ამ ნაშრომის დაწერის მიზეზი კი, როგორც ალი რიზა ალთუნელი წერს, ის მწვავე განცდები გამხდარა, რომელიც მასში საქართველოში ყოფნის პერიოდში ოსმალებისა და თურქების შესახებ გამოგონილმა გამონათქვამებმა გამოიწვია. *„ვერ წარმომიდგენია, რომ ასწლეულების განმავლობაში თავისი გავლენის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე მცხოვრები ყველა ხალხის და რელიგიის შემწყნარებელი ოსმალები ისეთ ხოცვა-ჟლეტას უწყობდნენ ქართველებს, რომ მათი სისხლით შეღებილი მტკვარი და ჭოროხი თვეობით წითლად მოედინებოდა. ასეთი ფაქტების მტკიცებამ გამოიწვია აღნიშნული ნაშრომისათვის კვლევების დაწყება.*

ჩვენ მიერ ჩატარებულმა ძიებამ გვიჩვენა, რომ რეგიონის სხვა ადგილებში დამყარებული კანონიერება და სამართლიანობა აქაც უზრუნველყოფილი იყო, ქრისტიან თავადებს შორის უთანხმოების მოგვარება, დაშვებული შეცდომების გამო საკუთარი ბეგლარბეგის სიკვდილით დასჯა, ქრისტიანი მოსახლეობისთვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება და სხვა ქმედებების ამსახველი საარქივო დოკუმენტები დღის სინათლეზე გამოვიტანეთ. მხოლოდ ის ფაქტი, რომ ოსმალეთის 187 დიდვეზირი, ასობით მინისტრი და ფაშა ქართული წარმოშობის იყო, ადვილად ამტკიცებს ნახსენები დანაშაულის აბსურდულობას.

ამ გამოცემის მთავარი მიზანია საუკუნეების მანძილზე ერთმანეთის მეზობლად მცხოვრები, ერთნაირ ლხინსა და ჭირ-ვარამგამოვლილი, ხშირად საერთო ბედისწერის გამზიარებელი ორი ხალხისთვის ერთმანეთის უკეთესად გაცნობა და წარსულისთვის ნათელის მოფენა, რათა მათი მომავალი უფრო ჯანსაღ საფუძველზე აშენდეს“.

ავტორი წინასიტყვაობაში წერს, რომ: *„საქართველოს, სულ მცირე, 500-წლიანი ისტორიის დასაწერად ოსმალური არქივი მნიშვნელოვანი წყაროა. თუმცა, დღემდე ქართულ-თურქული ასწლოვანი ურთიერთობების ისტორიის კვლევისას, ეს მასალები იშვიათად გამოიყენება, რამაც, ობიექტური ისტორიის შექმნის ნაცვლად, ჭეშმარიტების გზიდან მიზანმიმართულად აცდენა გამოიწვია. ნაშრომი „საქართველო და ქართველები, ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში“ მიზნად ისახავს ამ ისტორიული დოკუმენტების დიდ მნიშვნელობაზე ყურადღების გამახვილებასა და ქართულ-თურქული ურთიერთობის ისტორიის სიღრმეებში ჩახედვას.*

...ოსმალეთის სახელმწიფოში ქართული წარმოშობის ათობით ვეზირი, დიდვეზირი, რელიგიური მოღვაწე და მაღალი წოდების სახელმწიფო მოხელე მოღვაწეობდა, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს მრავალსაუკუნოვანი ცივილიზაციის განვითარებაში. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ქართველები მხოლოდ კავკასიის რანგით არ შემოიფარგლებოდნენ. XXI საუკუნეში მცხოვრებ ქართულ თაობებს უფლება არ აქვთ დაივიწყონ სულთნების ქართული წარმოშობის დედები და მეუღლეები, მოქმედი არმიების ქართველი სარდლები, შვიდ კლიმატურ სარტყელში და სამ კონტინენტზე ოსმალეთის სახელმწიფოს სახელით მოღვაწე ქართველი დიდვეზირები და ვეზირები, ქართველი ხელოვანები და რელიგიური ავტორიტეტები, ყველა რანგის გამგებლები და მოხელეები. აქედან გამომდინარე, თქვენ ხელთ არსებული ნაწარმოები გახსენებისა და შეხსენებისაგან შედგება“.

თურქეთის პრემიერ-მინისტრის არქივი (ყოფილი ოსმალეთის საიდუმლო არქივი) ქართველებისათვის გაიხსნა. მიკვლეულია ისეთი წერილობითი წყაროები, რომლებიც გადატრიალებას მოახდენენ ქართულ ისტორიოგრაფიაში, მაგალითისათვის, პრემიერ-მინისტრის არქივში აღმოჩნდა მე-17 საუკუნის დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც, ოსმალეთის სულთანი ბრძანებას იძლევა, იერუსალიმში ქართველებს დაუბრუნდეთ სომხებისა და ფრანგების მიერ უკანონოდ მიტაცებული ქართული მონასტრები. აღსანიშნავია 1565 წლის 7 თებერვლის სულთნის ფირმანი, რომლითაც ირანის მმართველის ჯარს აფრთხილებენ და სასტიკად უკრძალავენ ქართული ტერიტორიების დალაშქვრას. ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით კი, ირკვევა, რომ ფაშას ქრისტიანულ მოსახლეობაზე ძალადობისა და ქონების წართმევასთან დაკავშირებით ქართველი აზნაურები – ვარაზა და ქაიხოსრო დაუპატიმრებია.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს თბილისის ციხის დღემდე უცნობი მინიატურა, რომელიც მე-17 საუკუნის ბოლოსაა შესრულებული. მინიატურაზე კარგად მოჩანს, რომ საქართველოს დედაქალაქი ზარბაზნებით გამაგრებული დიდი ციხე-სიმაგრე ყოფილა, რომელსაც წყლით შემოვლებული თხრილები და გადასასვლელი ბურჯებიანი ხიდები ჰქონია.

აქვე წარმოდგენილია ახმედ ხიმშიაშვილისა და ახალციხის ციხის მინიატურა. არქივში ასევე დაცულია დღემდე უცნობი ქართველი ტიპაჟების პორტრეტები, ქართული ეროვნული კოსტიუმის ამსახველი ლითოგრაფიები და სხვ.

ტექსტის ოსმალურ ორიგინალთან ერთად, წიგნში წარმოდგენილია თურქული და ქართული თარგმანი. კრებულში მოტანილი დოკუმენტები 20 ათასზე მეტ დოკუმენტს შორის შეირჩა და ქრონოლოგიურად განთავსდა. ნაშრომში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დოკუმენტებს ოსმალეთის ყველაზე ძველი დავთრიდან.

გამოფენილ დოკუმენტებს შორის ნახავთ: 1577 წლის 14 აპრილით დათარიღებულ სულთანთან წარდგენილ საჩივარს, ფრანგებისა და სომხების მიერ იერუსალიმში არსებული ქართველთა სალოცავების მიტაცებასთან დაკავშირებით. ბრძანება იერუსალიმის ყადის და სანჯაყბეგს: *„გურიისა და იმერეთის მთავრების ელჩებმა მაცნობეს, რომ იერუსალიმში არსებული ქართველთა სალოცავები, რომლებიც უძველესი დროიდან მათ საკუთრებაში იყო, ფრანგებმა და სომხებმა მიიტაცეს, ვბრძანებ, რომ: მოუხმეთ იერუსალიმის წარჩინებულებს, გააცანით ვითარება და გარკვიეთ, ეს სალოცავები ძველთაგან ნამდვილად ქართველებს ეკუთვნის თუ სხვებს? მხოლოდ თავდაპირველ მფლობელს მიეცით საშუალება, რომ მოილოცონ ეს ადგილები, ხოლო დანარჩენებს აუკრძალეთ! შედეგი წერილობით წარმომიდგინეთ.“*

ერთ-ერთი დოკუმენტი (1272/1855) კი ბრძოლაში დატყვევებული ქართველი დიდებულის პირობების გაუმჯობესებას ეხება: *„ადგილიდან მოვითხოვეთ ცნობა, შეკვეთილის ბრძოლაში დატყვევებული და ჯერ კიდევ ტრაპიზონში ტყვეობაში მყოფი ქართველი დიდებულის სიღატაკესა და გაჭირვებაში ცხოვრების შესახებ. მიღებულ პასუხში გაირკვა, რომ მის კვებას ადრიდან ექცეოდა ყურადღება, თუმცა შემდეგ მდგომარეობა გაუარესდა, რაც ჩვენი ბატონი ფადიშაჰის მაღალ სახელს არ ეკადრება. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ამ ქართველი დიდებულისთვის 500 ყურუში ხელფასის და საკმარისი რაოდენობით საკვების დანიშვნის შესახებ, რასაც ფინანსთა მინისტრი აანაზღაურებს. ეს საკითხი ამავე დროს სერასკერის სამსახურს უნდა ეცნობოს. იმოქმედეთ მხოლოდ ჩვენი მაღალი ფადიშაჰის ბრძანებითა და ფირმანის მიხედვით“.*

ექსპოზიციაზე წარმოდგენილ სხვა დოკუმენტთა შორის, ყურადღება მიიქცია 1726 წლის 4 იანვრის წერილმა, რომელიც ქართველი ხალხის შემავიწროებელ ზოგიერთი სამხედრო პირისა და ლეკი ყაჩაღების შეზღუდვას ეხება: *„...ზოგიერთი სამხედრო რაზმები, ლეკების ყაჩაღთა დაჯგუფებები სოფელ-სოფელ დადიან, ძარცვავენ და მონად გაყიდვის მიზნით იტაცებენ ბავშვებს. მან (იგულისხმება მის სასახლეში მცხოვრები საქართველოს პატრიარქი, რომელმაც წარუდგინა განცხადება ამ საკითხთან დაკავშირებით) გამოთქვა მწუხარება და ითხოვა მოწყალება. დიადი სახელმწიფოს მორჩილებაში მყოფი საქართველოში მცხოვრები ადამიანების გატაცება და მონად გაყიდვაზე ან მათთვის იოტისოდენა ზარალის მიყენებაზე ფადიშაჰის უმაღლესი ნება არ ყოფილა. შენ კი, ჩემო ვეზირო, თბილისის ციხისთავი ხარ, ჩემი მითითების მიხედვით, მოძალადე და ადამიანის გამტაცებელი ყაჩაღები ხელში ჩაიგდე და დააკავე. გატაცებული ბავშვები და დამალული ქონება პატრონებს დაუბრუნე. დამნაშავეები კანონის შესაბამისად და შენი კომპეტენციის ფარგლებში დასაჯე. ქართველი ხალხი დაიცავი და მათ დაჩაგვრას ნუ შეურიგდები. ამ საკითხზე ძალიან ყურადღებით იყავი, რისთვისაც ამ ფირმანის ღირსი გახდი.“*

„საქართველოს მეგობრობის ასოციაციის“ ორგანიზებით გამოცემულ კრებულში, რომელშიც შესულია მსოფლიოში ყველაზე დიდ და საიმედო „ოსმალეთის არქივში“ დაცულ დოკუმენტებში არსებული წყაროები, მართლაც ძალიან ბევრ საინტერესო და უცნობ მასალას აღმოაჩენთ და გაგიჩნდებათ კითხვები, რომელზეც, ალბათ, ისტორიკოსები გაგვცემენ პასუხს. ერთი კი უდავოა, ეს გამოფენა სერიოზულად დაგაფიქრებთ.

ლალი ჯელაძე

საუბრები ბიბლიაზე

ზეციდან ჩამობრძანებული მეფობის წესი

რუბრიკას უძღვება
როლანდ ჩხეიძე

შუმერები ამბობდნენ: ისტორია მაშინ დაიწყო, როდესაც ზეციდან ქვეყანაზე მეფობის წესი ჩამობრძანდა და მესოპოტამიის სამხრეთით, უძველეს ქალაქ ერიდუში დამკვიდრდა.

მანამდე კი ბაბილონის გოდოლის მშენებლობა იყო. ადამიანებს მიაჩნდათ, რომ სიდიადისა და სამყაროს მბრძანებლობის უტყუარი ნიშანი ცას აწვდენილი კოშკი იქნებოდა. მოხდა პირიქით: ხალხს საერთო ენის გამონახვის სურვილი გაუქრა, მეფეებს გაუძნელდათ ხალხთან და ერთმანეთთან მოლაპარაკება. ამიტომაც ურწმუნოთა შორის ურთიერთობის უმთავრეს საშუალებად „ძალა“ დამკვიდრდა, ხოლო ნებისმიერი სახის გოდოლის მშენებლობა, ანუ ადამიანის უგუნური თვითგანდიდება უეჭველი გაუგებრობით დასრულდა. გაუგებრობას ძალადობა, ძალადობას კი ქვეყნის დაქუცმაცება და დაშლა მოჰყვება (მსაჯ. 21:25).

ადამიანებმა სამართლიანი თანაცხოვრების წესების ძიება მრავალი ათასწლეულის წინ დაიწყეს. ჭეშმარიტად სამართლიან ადამიანს კანონიცა და ცხოვრების წესიც უფლისკენ უნდა მიუძღოდეს. თუ კანონმდებელი კერპით, დიქტატურით ან რაიმე სხვა „დიდი იდეით“ არის შეპყრობილი, მისი შემოქმედება ჭეშმარიტებისაკენ ვერ იქნება მიმართული. უფლის სიტყვა წარმართს არ ესმის. უღმერთო მეფე, მისი ჩინოვნიკები, ვეზირები, მსახურები კანონს საკუთარ მინიერ კეთილდღეობას არგებენ და ყოველთვის უპირატეს მინიერ მდგომარეობასაც აღწევენ. ასეთ სახელმწიფოში სამართალი „ეგრეთ წოდებული“ ხდება და დაწინაურებულებს უსამართლო ქმედების უშრეტი საშუალება ეძლევათ.

წარმართ მეფეს ჭეშმარიტ, ზეციური მმართველობის წესებზე ხელი არ მიუწვდება. ვერც წარმართი ხალხი შეითვისებს ზეციური სამართლის ჭეშმარიტებას. სწორედ ეს არის ყველა დროის წარმართული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი თავისებურება და ამიტომაც მეფობის ჭეშმარიტი ისტორია საზოგადოების წარმართობიდან გამოსვლის შემდეგ იწყება.

ისტორიის დასაწყისი

ისტორიად მხოლოდ იმ ამბავს აღიარებს, რომელშიც მოვლენები უფალთან მიმართებაში ვითარდება, რადგან უფლისკენ მიმავალ გზაზე სარგებელი მხოლოდ ამ ამბებს მოაქვს. ბიბლიურ მოთხრობაში წარმართობა გარეგნულად სუსტ, ზეციურ სამართალთან ყოველთვის მარცხდება. ამის გამო, ზოგიერთი ბიბლიური ამბავი შეიძლება დაუჯერებლადაც მოგვეჩვენოს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოველგვარ სიტყვას თავისი ენა და რწმენა აქვს, გამოვიჩენთ მცირე ძალისხმევას და ბიბლიური აზროვნებისკენ შემოვბრუნდებით, „აუხსნელი“ და „დაუჯერებელი“ ურყევ სინამდვილედ იქცევა, ხოლო მოვლენები ბუნებრივად და გასაგებად წარმოგვიდგება.

ბიბლია გვასწავლის: თუ ერში წარმართობის ტყვეობიდან გათავისუფლების სურვილმა გაიღვიძა (როგორც წესი, ასეთი ერი საკუთარ ცხოვრებას უფალს ანდობს), ღმერთი ნებისმიერი ძალის მონობიდან დაიხსნის და შემდეგ, სულიერი ცხოვრების ასაღორძინებლად, ზეციურ კანონებს დაუწესებს. ასეთ, რწმენით აღსავსე ხალხს მიმართავს უფალი, როდესაც ბრძანებს: „...განა თქვენს რჯულში არ გიწერიათ: მე ვთქვი: ღმერთები ხართ?“ (იოან. 10:34).

უფალი წარმართობიდან მოქცეულ ადამიანებს პოტენციურ ღმერთებად იხსენიებს. სწორედ საზოგადოების ამ ნაწილს უპირისპირდებიან ისინი, რომლებიც საკუთარი მიწიერი ძალაუფლების გამტკიცების მიზნით ჭეშმარიტი ნათლის სანაცვლოდ, სიბნელიდან ამოქექილ „ღმერთებს“ სცემენ თაყვანს, განადიდებენ შეთხზულ იდეას, უცხო სახელმწიფოს, გამორჩეულ პიროვნებას და სხვა რაიმე გზით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, ხალხში კერპთაყვანისმცემლობის გაძლიერებას ცდილობენ. ამ მდგომარეობაში მყოფი ხალხი, თუ უფლისაკენ არ მიილტვის განწირულია, მათი „პატრონი“ კი თანდათან საკუთარი პიროვნებით იხიბლება და „ფარაონი“ თვისებებს იძენს. ასეთი „ფარაონი“ თავისი წარმართობის მიჩქმალვისათვის „კანონშემოქმედებას“ იყენებს. ყველა უცნაურობას დროსთან მიმართებით ამართლებს და გამოგონილს ცხოვრებაში კეთილ საქმედ ნათლავს; უფლის მიერ დაწესებულ კანონებს ზურგს აქცევს და არ ითვალისწინებს; მათში არსებულ ძირითად პრინციპებს საინტერესოდ, მაგრამ დრომოჭმულ მითებად მიიჩნევს.

ლოგიკურია – ასეთ კანონმდებელს, ანუ „ფარაონს“, ღმერთი აღარ ესაჭიროება. ჭეშმარიტი ღმერთი მისი „გენიალური გეგმების“ განხორციელების ხელისშემშლელი ხდება. „ფარაონი“ თვითონ ხდება ღმერთიცა და უფრო მეტიც... აღზევებული „ფარაონი“ საბოლოოდ კარგავს ჭეშმარიტ ღმერთს და მისი ცოდვილი სული ეშმაკეული ძალების ხელში გადადის. ე. წ. პოლიტიკური საჭიროებისათვის მან შეიძლება კიდეც აღიაროს ღმერთი, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად, და რადგან იგი მაცდურის მიერ არის შეპყრობილი, შინაარსს მხოლოდ საკუთარ ქმედებაში ხედავს.

წარმართი „ფარაონი“ საკუთარ სულში ყოველთვის იმას პოულობს, რაც უფლისათვის მიუღებელია და ვინაიდან ჭეშმარიტ ცოდნას ღვთაებრიობამდე მივყავართ, წარმართი ფორმას ანიჭებს უპირატესობას. წარმართისათვის ჭეშმარიტების შინაარსი საშიშია და ამიტომაც მიუწვდომელია. ასეთ „ფარაონს“ ღვთის მიერ განსაზღვრული გარკვეული, დროით შეზღუდული, დანიშნულება აქვს. უფალი ბრძანებს: „...მხოლოდ იმისთვის დაგარჩენ, რომ... ემცნოს ჩემი სახელი მთელ ქვეყანას“ (გამ. 9:16). ე. ი. ძლევამოსილი დიქტატორი ან „ფარაონი“ სხვა არაფერია, თუ არა ცოდვებით დატვირთული, ხალხის დასანახად გამზადებული, ზეაღმართული სურათი, რომელიც დასაწყისშივე დასახევად და ცეცხლში დასაფერფლად არის განწირული.

„ფარაონი“ ვერასოდეს ჩასწვდება უფლის კანონების ჭეშმარიტებას. „ფარაონი“ არ ეძებს სიმართლეს. უფალი ერთია და მხოლოდ ის არის ჭეშმარიტი. უფლის გვერდით დიქტატორის ადგილი არ მოიძებნება. ხოლო ის, რაც უფლის გარეშეა – არსით დაცემულია, დროებითია, წარმავალია, ხრწნადია და ფუჭია. „...ის, რაც ძველდება და ბერდება, გაქრობად მიწევნილია“ (ებრ. 8:13).

გამოსვლის წიგნი გვამცნობს, რომ ეგვიპტელთათვის ფარაონი სიცოცხლის ყველანაირი გარანტი იყო. ის იცავდა წესრიგს, ქმნიდა საზოგადოების წევრთა თანაცხოვრების პირობებს, აკმაყოფილებდა მოსახლეობის მატერიალურ მოთხოვნებს, უზრუნველყოფდა ქვეყნის მთლიანობას, ქმნიდა კანონებს და ერთპიროვნულად ფლობდა „ჭეშმარიტებას“. უდაბნოში ხეტიალისას ებრაელებს არაერთხელ დაუჩივლიათ, რომ ეგვიპტეში ისინი ხორცით სავსე ქვაბებთან ისხდნენ და გაძღომამდე იკვებებოდნენ (გამ. 16:3). ეგვიპტელი ფარაონების მეფობა, ბევრ სახელმწიფო მმართველს შეიძლება დღესაც ოცნების საგნად ექცეს.

ერთიცაა... ნუ დაგვავიწყდება, რომ უფალს ჭამისთვის და ძილისთვის არ შეუქმნია ადამიანი. „ფარაონის“ მთავარი და გაუცნობიერებელი პრობლემა სწორედ იმაში იყო, რომ მან ებრაელი ხალხისათვის შეუძლებელი გახადა უფალთან ურთიერთობა. ამით, კი უფლისაგან ცხებულ ხალხს ღმერთისაკენ მიმავალ გზაზე გადაულახავი წინააღმდეგობები შეუქმნა.

საუფლო წესებების დამრღვევი ცხებული მეფეც კი ისჯება:

ებრაელთა პირველმა მეფემ საულმა, რომელიც ღვთის ნებით სამუელის მიერ იყო ცხებული, თავისი სიმაღლითა და სილამაზით თავიდანვე მოხიბლა ხალხი: „ჩადგა ხალხში და „ერთი თავით“ ყველაზე მაღალი გამოჩნდა. უთხრა სამუელმა ხალხს: ხომ ხედავთ, ვინ აირჩია უფალმა? რადგან მთელს ხალხში არავინაა მისი მსგავსი. იხუვლა ხალხმა და თქვა: დღეგრძელი იყოს მეფე!“ (1 მეფ. 10:23,24).

ებრაელები მეფეს მხოლოდ გარეგნული ნიშნების მიხედვით აფასებდნენ. ისინი არ ფიქრობდნენ მის მორალურ და სულიერ თვისებებზე. უფალმაც ზუსტად ის მეფე მისცა ხალხს, რომლისთვისაც შინაგანად იყვნენ განმზადებულნი.

საულს გვერდით წინასწარმეტყველი და მოსამართლე სამუელი ედგა, ის ყოველთვის მზად იყო განეცხადებინა მეფისათვის, რას მოელოდა მისგან უფალი. მაგრამ დროთა მანძილზე საულმა დაივიწყა თავისი უბრალოება, მიეჩვია სიმდიდრესა და მედიდურობას. ძალაუფლება გახდა მისი სიყვარულისა და რწმენის მთავარი ობიექტი. შედეგად, სამუელი მას სრულიად ჩამოშორდა და საბოლოოდ მეფე უფლის გარეშე დარჩა. საუბედუროდ, ოდესღაც ცხებული და ხალხისათვის საყვარელი მეფე, თავისი ამპარტავნების გამო „ფარაონად“ გარდაიქმნება და უფსკრულისაკენ ისე მიექანება, რომ მხოლოდ დიდი დაცემის შეგრძნებაღა შეუძლია. ასეთი დაცემა საულმა პირველად დავითის გამეფების შესაძლებლობაში დაინახა. „ფარაონი“ ვერ ეგუება ტახტის დაკარგვას. მას გონება უბნელდება და ვეღარ აკონტროლებს თავის ნამოქმედარს. ასე დაემართა საულსაც, იგი თავდავიწყებამდე გაბოროტებული სდევნიდა დავითს და სამეფოში ყველას, მათ შორის საკუთარ შვილებსაც დიდი სისასტიკით ექცეოდა.

ბოლოს მეფემ იგრძნო, რომ უფალმა იგი საბოლოოდ მიატოვა და მის სულში შიშმა დაიმკვიდრა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ გარდაცვლილი სამუელისაგან რჩევის მისაღებად, მეფემ დახმარებისათვის ჯადოქარ ქალს მიმართა. „უთხრა სამუელმა საულს: რისთვის შემაწუხე, რომ ამომიყვანე? უთხრა საულმა: ძალიან მიჭირს. ფილისტიმელები მებრძვიან, ღმერთი კი განმიდგა და პასუხს აღარ მცემს, არც წინასწარმეტყველთა პირით და არც სიზმრებში. შენ ამოგიხმე, რათა მასწავლო, როგორ მოვიქცე. უთხრა სამუელმა: მე რისთვის მეკითხები, როცა უფალი განგიდგა და მტრად გექცა?“ (1 მეფ. 28:15,16). და უწინასწარმეტყველა სამუელმა საულს: „...აღასრულებს დღეს უფალი შენზე თავის სიტყვას. ისრაელსაც შენთან ერთად ჩაუგდებს უფალი ხელში ფილისტიმელებს. ხვალვე ჩემთან იქნებით შენ და შენი შვილები“ (1 მეფ. 28:18,19).

საუბედუროდ, „ფარაონად“ ქცეული მეფეები უკანასკნელ მომენტამდე ვერ გრძნობენ თავს დატრიალებული ტრაგედიის მოახლოვებას. მეფისა და ქვეყნის უბედურების დასაწყისი კი ის არის, რომ მეფე ივიწყებს და ხალხი არ ახსენებს მას წმიდა წერილში (რჯლ. 17) მკაცრად მითითებულ, ერთი შეხედვით, არც თუ რთულად შესასრულებელ, მეფის არჩევასთან დაკავშირებულ წესებს და მეფის მოვალეობებს. ამ გულმავიწყობის შედეგად იღუპება მეფე და დიდი საშიშროების წინაშე დგება მთელი ხალხი და ქვეყანა.

აი, როგორ გამოიყურება ეს წესები და მოვალეობები:

♦ მეფე უნდა იყოს ღმრთის მიერ რჩეული, ანუ ცხებული;

♦ მეფე არ შეიძლება იყოს უცხო კაცი, ანუ სხვა ქვეყნის შვილი;

♦ მეფემ არ უნდა ამრავლოს მხედრები საკუთარი ძალაუფლების დასაცავად, ანუ, ტახტს თავისი ხალხისაგან ძალით არ უნდა იცავდეს;

♦ მეფეს არ უნდა ჰყავდეს მრავალი ცოლი, ანუ არ უნდა ეწეოდეს გარყვნილ ცხოვრებას, რათა არ შეირყვნას მისი გული;

♦ მეფე არ უნდა აგროვებდეს თავისთვის ბევრ ოქრო-ვერცხლს;

მეფემ თვითონ, თავისი ხელით უნდა ჩამოწეროს უფლის კანონების სრული სია;

♦ მეფე მუდამ თან უნდა ატარებდეს ამ კანონთა კრებულს, მთელი სიცოცხლის მანძილზე უნდა კითხულობდეს და მორჩილებდეს მას;

♦ მეფე არ უნდა ქმნიდეს კანონებს საკუთარი ინტერესებისათვის, მან ყველა ახალი კანონი უფლის კანონებთან შესაბამისობაში უნდა მოიყვანოს. მეფის ძირითადი ამოცანაა იყოს უფლის ნების სამაგალითო შემსრულებელი და ყველა კრიტიკულ შემთხვევაში საკუთარ ხალხს უფლისაკენ მიმავალ გზაზე მიუძღვებოდეს.

ინფორმაცია

* * *

16 ივნისს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა ბათუმში სტუდენტურ ორგანიზაციათა საერთაშორისო ფორუმს მართავს, რომელშიც მონაწილეობას მსოფლიოს 35 ქვეყნის 70 სტუდენტური ორგანიზაცია იღებს. განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ ნოდარ სურგულაძემ და პროექტის Summer Job სპიკერმა მარიამ საჯაიამ ფორუმის მონაწილეებს საქართველოს პრეზიდენტის მიერ ინიცირებული სტუდენტთა დასაქმების პროექტი წარუდგინეს.

მარიამ საჯაიამ გერმანიის, საფრანგეთის, უნგრეთის, აშშ-ს, თურქეთის, იაპონიის, ბალტიისპირეთის და კავკასიის რეგიონის ქვეყნების წარმომადგენლებს დეტალურად გააცნო ახალი პროექტი, რომელიც საქართველოში წელს პირველად ხორციელდება და, ზაფხულის არდადეგების პერიოდში, ოცდახუთი ათას სტუდენტს დაასაქმებს. პროგრამა 20 ივლისს ამოქმედდება და 20 აგვისტომდე გასტანს. მასში საქართველოში ავტორიზებული უნივერსიტეტების ბაკალავრიატის სტუდენტები მონაწილეობენ.

სტუდენტთა დასაქმების პროგრამამ ფორუმის მონაწილეთა დიდი დაინტერესება გამოიწვია. უცხოელმა სტუდენტებმა თავიანთ ქვეყანაში არსებულ ანალოგიურ პროექტთან პარალელებიც გაავლეს და აღნიშნეს, რომ ასეთი პროგრამები ბევრ ქვეყანაშია დანერგილი და წარმატებით ხორციელდება. მათ წარმატება ქართულ პროექტსაც უსურვეს.

ბათუმში მიმდინარე ფორუმზე მონაწილეები იმსჯელებენ ახალგაზრდობის პოლიტიკასა და მომავალ პერსექტივებზე, მსოფლიო ახალგაზრდობის დღევანდელ გამოწვევებზე, შეხვდებიან საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებს, გაეცნობიან საქართველოს უახლეს პროექტებს. დასასრულს, ორგანიზაციები, რომლებიც წელს შეუერთდებიან ფორუმს, ხელს მოაწერენ თანამშრომლობის მემორანდუმს. დოკუმენტი 2011 წელს გამართულ სტუდენტურ ორგანიზაციათა თბილისის საერთაშორისო ფორუმზე მომზადდა და მას 18 სტუდენტური ორგანიზაცია შეუერთდა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის გადაწყვეტილებით, სტუდენტურ ორგანიზაციათა საქართველოს საერთაშორისო ფორუმი ყოველწლიურად გაიმართება და მსოფლიო ახალგაზრდობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ღონისძიებად იქცევა.

მეთოდიკა

ფიზიკის პედაგოგთა დასახმარებლად

ელექტროსტატიკა

ამოცანა 64.

ორი ერთნაირი ლითონის ბირთვი დამუხტეს ტოლი სიდიდის მუხტით და მოათავსეს მანძილზე, რომელიც ბირთვების დიამეტრების თანაზომადია. შევადაროთ ბირთვებს შორის ურთიერთქმედების ძალები, თუ მათ გადაეცემათ ჯერ ერთნაირნიშნიანი ჭარბი მუხტი, შემდეგ კი - სხვადასხვანიშნიანი.

ამოხსნა:



სურ. 1



სურ. 2

სხვადასხვანიშნიანი ჭარბი მუხტი კულონური ურთიერთმიზიდვის ძალების მოქმედებით განლაგდება ბირთვების უახლოეს ზედაპირებზე (იხ. სურ. 1), ერთნაირნიშნიანი მუხტის შემთხვევაში კი - შორეულ ზედაპირებზე (იხ. სურ. 2). ამგვარად მივიღებთ, რომ პირველ შემთხვევაში ბირთვებს შორის ურთიერთქმედების ძალა მეტია.

ამოცანა 65.

რა სიდიდის მუხტს შეიძენს $R=10$ სმ რადიუსის სპილენძის ბირთვი, რომ შესაძლებელი იყოს გამტარებლობის ყველა ელექტრონის მისგან მოცილება? სპილენძის მოლური მასა $M=0,064$ კგ/მოლი, სიმკვრივე $\rho=8900$ კგ/მ^3, ელექტრონის მუხტის მოდული $e=1,6\cdot10^{-19}$ კ, ავოგადროს რიცხვი $N_A=6.02\cdot10^{23}$ მოლი$^{-1}$. ჩავთვალოთ, რომ სპილენძის თითოეულ ატომზე გამტარებლობის ერთი ელექტრონი მოდის.

ამოხსნა:

ამოცანის პირობის თანახმად მოცილებული ელექტრონების რიცხვი სპილენძის ბირთვში ატომების რაოდენობის ტოლია: $N=\nu N_A$, სადაც ν ბირთვში სპილენძის ნივთიერების რაოდენობაა, რომელიც ტოლია: $\nu=m/M$. აქ m ბირთვის მასაა: $m=\rho V$, სადაც $V=\frac{4}{3}\pi R^2$ ბირთვის მოცულობაა. ამგვარად, ბირთვი გამტარებლობის ყველა ელექტრონის დაკარგვის შედეგად დაიმუხტება q დადებითი მუხტით და $q=eN=e\frac{m}{M}N_A=\frac{4\pi eN_AR^2\rho}{3M}$.

მიღებულ ფორმულაში რიცხვითი მონაცემების ჩასმით მივიღებთ:

$$q=\frac{4\cdot3,14\cdot1,6\cdot10^{-19}\cdot6,02\cdot10^{23}\cdot10^{-2}\cdot8,9\cdot10^{2}}{3\cdot6,4\cdot10^{-2}}\approx5,6\cdot10^{7}\text{ კ}.$$

ამოცანა 66.

ორი ერთნაირი, მცირე ზომის, ρ სიმკვრივის ბურთულა ჩამოკიდეს ერთ წერტილში დამაგრებულ ტოლი სიგრძის ძაფებზე. ბურთულებს გადასცეს ერთნაირი ნიშნისა და ტოლი სიდიდის მუხტები, რის შემდეგაც ბურთულები ჩაუშვეს ρ_0 სიმკვრივის სითხეში. გავიგოთ სითხის დიელექტრიკული შეღწევადობა, თუ ბურთულების დამუხტვის შემდეგ მათი ურთიერთგანზიდვის გამო ძაფებს შორის კუთხე აღმოჩნდა α -ს ტოლი, სითხეში ჩაშვების შემდეგ - β-ს ტოლი.

ამოხსნა:



სურ. 1



სურ. 2

სითხეში მოთავსებამდე თითოეულ ბურთულაზე მოქმედებს სამი ძალა: $m\vec{g}$ - სიმძიმის ძალა, $\vec{T_1}$ - ძაფის დაჭიმულობის ძალა და $\vec{F_1}$ - ელექტრული განზიდვის ძალა (იხ. სურ.1) ბურთულის წონასწორობის გამო ამ სამივე ძალის ტოლქმედი X და Y ღერძებზე ნულის ტოლი უნდა იყოს: $F_1-T_1\sin\frac{\alpha}{2}=0$ და $T_1\cos\frac{\alpha}{2}-mg=0$. აქ $\frac{\alpha}{2}$ არის კუთხე ძაფის დაჭიმულობის ძალის მიმართულებასა და Y ღერძს შორის. ეს გამოსახულებები გადავწეროთ შემდეგნაირად: $T_1\sin\frac{\alpha}{2}=F_1$ და $T_1\cos\frac{\alpha}{2}=mg$ და პირველი განტოლება გავყოთ მეორეზე, მივიღებთ: $tg\frac{\alpha}{2}=\frac{F_1}{mg}$ (1).

ბურთულების სითხეში ჩაძირვის შემდეგ (იხ. სურ. 2) თითოეულ ბურთულაზე მოქმედებს ოთხი ძალა: $m\vec{g}$ - სიმძიმის ძალა, $\vec{T_2}$ - ძაფის დაჭიმულობის ძალა, $\vec{F_2}$ - ელექტრული განზიდვის ძალა და $\vec{F}_ა$ - ამომგდები ძალა, რომელთაგან F_2 ε-ჯერ ნაკლებია F_1-ზე: $F_2=\frac{F_1}{\varepsilon}$, სადაც ε სითხის დიელექტრიკული შეღწევადობაა. რადგან ამ შემთხვევაშიც ბურთულები წონასწორობაშია, შეგვიძლია ანალოგიურად დავწეროთ: $T_2\sin\frac{\beta}{2}=F_2$, $T_2\cos\frac{\beta}{2}=mg-F_ა$.

ამ ფორმულებიდან მივიღებთ: $tg\frac{\beta}{2}=\frac{F_2}{mg-F_ა}$ (2). მიღებულ ფორმულებში გავითვალისწინოთ, რომ $F_ა=\rho_0 gV$, სადაც V ბურთულის მოცულობაა: $V=m/\rho$. (2) ფორმულაში F_2-ის და $F_ა$-ს მნიშვნელობების ჩასმა მოგვცემს: $tg\frac{\beta}{2}=\frac{F_1}{mg\varepsilon\left(1-\frac{\rho_0}{\rho}\right)}$ (3). (1)-დან $F_1=mg\cdot tg\frac{\alpha}{2}$. შევიტანოთ ეს მნიშვნელობა (3)-ში: $tg\frac{\beta}{2}=\frac{mg\cdot tg\frac{\alpha}{2}}{mg\varepsilon\left(1-\frac{\rho_0}{\rho}\right)}$. ამ ფორმულიდან გამოვსახოთ დიელექტრიკული შეღწევადობა: $\varepsilon=\frac{tg\frac{\alpha}{2}}{\left(1-\frac{\rho_0}{\rho}\right)tg\frac{\beta}{2}}$.

ამოცანა 67.

N რაოდენობის, სფერული ფორმის ერთნაირი ვერცხლისწყლის წვეთი დამუხტეს ერთი და იმავე φ_0 პოტენციალამდე. რისი ტოლი აღმოჩნდება დიდი წვეთის φ პოტენციალი პატარა წვეთების ერთმანეთთან შეერთების შემდეგ?

ამოხსნა:

ელექტრული მუხტის მუდმივობის კანონის თანახმად, წვეთების შეერთების შემდეგ მიღებული დიდი წვეთის მუხტის სიდიდე $Q=Nq$, სადაც q არის პატარა წვეთების მუხტის სიდიდე. მუხტის ეს მნიშვნელობა შეიძლება გამოვსახოთ სფეროს პოტენციალის ფორმულიდან: $\varphi_0=k\frac{q}{r}$, საიდანაც $q=\frac{\varphi_0 r}{k}$ აქ r არის პატარა წვეთის რადიუსი, $k=9\cdot10^9$ ნ მ^2/კ^2 - ელექტრული მუდმივაა. დიდი წვეთის პოტენციალიც ანალოგიურად გამოვსახოთ: $\varphi=k\frac{Nq}{R}=\frac{N\varphi_0 r}{R}$ (1), სადაც R- დიდი წვეთის რადიუსია. დიდი და პატარა წვეთის რადიუსებს შორის კავშირის დასამყარებლად გამოვიყენოთ წვეთების გაერთიანების პროცესის დროს მოცულობის მუდმივობის პირობა: $V=NV_0$ (2). აქ $V=\frac{4}{3}\pi R^3$ დიდი წვეთის მოცულობაა, $V_0=\frac{4}{3}\pi r^3$ - პატარა წვეთის მოცულობა. ამ სიდიდეების (2) ფორმულაში შეტანით მივიღებთ: $\frac{4}{3}\pi R^3=N\frac{4}{3}\pi r^3$, საიდანაც $R=\sqrt[3]{N}r$, ანუ $\frac{r}{R}=\frac{1}{\sqrt[3]{N}}$. ამ თანაფარდობის (1) ფორმულაში შეტანით მივიღებთ: $\varphi=\frac{N\varphi_0}{\sqrt[3]{N}}=\varphi_0 N^{\frac{2}{3}}$.

ამოცანა 68.

R_1 რადიუსის და φ_1 პოტენციალის მქონე ლითონის ბირთვი მოათავსეს R_2 რადიუსის გამტარ სფერულ გარსში. რა სიდიდის იქნება ბირთვის პოტენციალი φ გარსის დამიწების შემდეგ (იხ. სურათი)?



ამოხსნა:

დამიწების შემდეგ გარსის პოტენციალი ნულის ტოლი გახდება, ამიტომ ბირთვის ცენტრიდან R_2 მანძილზე არსებული და დამიწების გამო გარსზე გაჩენილი მუხტის მხრიდან შექმნილი პოტენციალების ალგებრული ჯამი ნულის ტოლი უნდა იყოს: $k\frac{q_1}{R_2}+k\frac{q_2}{R_2}=0$, საიდანაც მივიღებთ, რომ $q_2=-q_1$. აქ q_1 ბირთვის მუხტია, q_2 კი დამიწების შედეგად გარსზე გაჩენილი (დამიწებიდან „ამოსული“) მუხტი. საბოლოოდ ბირთვის პოტენციალი ჩამოყალიბდება, როგორც მასზე არსებული მუხტის მიერ შექმნილი და გარსის პოტენციალების ჯამი: $\varphi=\varphi_1+\varphi_2$ (1). აქ ბირთვის ზედაპირზე გარსის მხრიდან შექმნილი პოტენციალი $\varphi_2=-k\frac{q_1}{R_2}$. . ვიცით, რომ $\varphi_1=k\frac{q_1}{R_1}$. . აქედან $q_1=-\frac{\varphi_1R_1}{k}$. ამიტომ $\varphi_2=-\frac{\varphi_1R_1}{R_2}$

მიღებული შედეგის (1) ფორმულაში ჩასმით მივიღებთ: $\varphi=\varphi_1-\frac{\varphi_1R_1}{R_2}=\varphi_1\frac{R_2-R_1}{R_2}$.

თეიმურაზ გაჩეჩილაძე
აკად. ი. ვეკუას სახ. ფიზიკა-მათემატიკის №42 საჯარო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი, დირექტორის მოადგილე

მოსწავლე ახალგაზრდობის დღეები – 2012

საგარეჯოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი (დირექტორი – **თამარ ჯაბადარი**) ის დაწესებულებაა, სადაც გარეჯელი ბავშვები დიდი სიხარულით მოდიან. იციან, რომ აქ დახვდებათ ყურადღება, სითბო, სიყვარული, სიხარული, რომელსაც ასე უხვად და უშურველად იმეტებს თითოეული თანამშრომელი.

ამის დასტურია ისიც, რომ მომავალი თაობისათვის 28 აპრილიდან დაიწყო „მოსწავლე ახალგაზრდობის

დღეები – 2012“, რომელიც 2 ივნისამდე გრძელდება და ღონისძიებათა მრავალფეროვნებით გამოირჩევა. მიმდინარე წელსაც, ჩვენი წრეების მოსწავლეებთან და პედაგოგებთან ერთად, შევიმუშავეთ პროექტი, რომელიც მოიცავს გამოფენებს, დებატებს, ტრენინგებს, თეატრალურ და ლიტერატურულ შეხვედრებს, კონფერენციებსა და სხვ. წლევანდელი მოსწავლე ახალგაზრდობის დღეები საღდგომო გამოფენით გავხსენით. ჩვენი სტუმარი გახლდათ მხატვარი **ნინო ჯანგულაშვილი**, რომელმაც მიულოცა მონაწილეებს გამოფენის გახსნა, შემდგომი წარმატებები უსურვა და სიგელები გადასცა. გამოფენის მონაწილეთა საუკეთესო ნამუშევრები გაიგზავნა თბილისში, ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეაში, საღდგომო გამოფენაზე, რომელიც 17 აპრილს გაიხსნა. ჩვენმა მოსწავლეებმა აქაც დიპლომები დაიმსახურეს.

შემდეგი ღონისძიება, რომელსაც მოსწავლ ახალგაზრდობის დღეები ითვალისწინებს, ინტელექტთამაში გახლდათ, რომელსაც, ტრადიციულად, ინტელექტკლუბის ხელმძღვანელი **ბადრი დრეიძე** ხელმძღვანელობს. თამაშის თემა იყო „მსოფლიო რელიგია“, მასში მონაწილეობდნენ საგარეჯოს №2, №3, დიდი ჩაილურის, პატარძეულისა და გიორგიწმინდის საჯარო სკოლების გუნდები, რომელთაგან I ადგილი გიორგიწმინდისა და პატარძეულის საჯარო სკოლებმა გაინაწილეს, II ადგილი წილად ხვდა №2 საჯარო სკოლას, III ადგილი – № 3 საჯარო სკოლის გუნდს, IV – დიდი ჩაილურის საჯარო სკოლის გუნდს, თუმცა, დებულებიდან გამომდინარე, არც ერთი გუნდი არ გამოეთიშა თამაშს, შეირჩა მომდევნო თამაშის თემა – „საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდი – 1918-1921 წლების საქართველო“. ინტელექტთამაშის შემდეგ გაიმართა კონცერტი, რომელშიც აღნიშნული სკოლების მოსწავლეებთან ერთად მონაწილეობდნენ ვოკალური სტუდიის მომღერლები, ქალბატონი **მარინა ურდულაშვილის** ხელმძღვანელობით. მოსწავლე ახალგაზრდობის დღეების გახსნას უძღვებოდნენ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის საბავშვო თეატრის მოსწავლეები **მარიამ თედიაშვილი** და **სალომე ჯაბადარი**. ღონისძიებას ესწრებოდა პატარძეულის საჯარო სკოლის დირექტორი ქალბატონი **ნინო ბურდიაშვილი**, დიდი ჩაილურის საჯარო სკოლის ინტელექტკლუბის ხელმძღვანელი **ეკატერინე ჭიკაძე**, ასევე ხატვის პედაგოგები და მშობლები სხვადასხვა საჯარო სკოლებიდან. დასასრულ გაიმართა დებატები, რომელსაც ჩვენი ყოფილი მოსწავლე, ახლა უკვე სტუდენტი **მარიამ ღრეული** უძღვებოდა.

4 მაისს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ლიტერატურულ სალონში (ხელმძღვანელები – **ნატო ნადირაშვილი** და **ირინე დრეიძე**) სტუმრად მოვიდნენ შემოქმედი მოსწავლეები და თითოეულმა თავისი ნაშრომი მოიტანა.

დიდი გოგლას სოფლის, პატარძეულის საჯარო სკოლიდან 4 შემოქმედი მოსწავლე ეწვია სალონს. XI-კლასელ **სოფო გვარიძიშვილს** ძალიან უყვარს გალაკტიონი და მისადმი მიძღვნილი ლექსები წაგვიკითხა, ამავე სკოლელი **მარიამ ქურხულიც** ლექსებს და ესეებს წერს, მან თანატოლებს თავისი ესე „ახლა უკვე 26 წლის ვარ“ წაუკითხა და მოწონების ნიშნად მსმენელთა ტაშიც დაიმსახურა.

XI-კლასელმა **ნინო მუჩიაშვილმა** საქართველოსადმი მიძღვნილი წერილი „საქართველო“ წაიკითხა; ალბათ, სულ მალე რაიონისა და ქვეყნის ლიტერატურული საზოგადოება გაიცნობს პატარძეულის საჯარო სკოლის მოსწავლეს **თამარ ცხვარიაშვილს**, ძალიან ბევრის მთქმელი შინაარსიანი ლექსებით. „პატარძეულს“, „მხოლოდ ერთხელ“, ჩანახატი „მე და ის“ დიდი ოვაციებით დაჯილდოვდა მსმენელისაგან. ამ გოგონას, თავის ასაკთან შედარებით, ბევრად უფრო მდიდარი ლექსიკური მარაგი აქვს და ამავე დროს მეტად საინტერესო და ლამაზი ხედვა.

განსაკუთრებული მოწონება ხვდა წილად წყაროსთავის საჯარო სკოლის მერვეკლასელ **თამარ გაგნიაშვილის** ჩანახატებს – „საწნახელი“ და „გაზაფხული“. „საწნახელი“ მისმა თანატოლებმა რომ წაიკითხონ, წინაპართა ტრადიციებისადმი უფრო დიდ სიყვარულს ისწავლიან.

ფანტაზიის დიდი და განსაკუთრებული უნარი გამოამჟღავნა ამავე სკოლის მერვეკლასელმა **მარიამ დათუნაშვილმა**. გოგონამ, თავის ჩანახატში, ცაში ერთი, მისთვის საყვარელი ვარსკვლავი „დაისაკუთრა“ და თავისი ლამაზ-ლამაზი ფრაზებით დამსწრენი ხან საქართველოს ამერიმერში „გვამოგზაურა“, ხან ცაში მნათობებს შორის „გვატარა“ და ჩანახატს „ჩემი ვარსკვლავი“ დაარქვა.

ლიტერატურულ სალონს სტუმრობდნენ, აგრეთვე, საგარეჯოს №3 საჯარო სკოლის მეთორმეტეკლასელები: **ნატო კვერაშვილი**, **დალი თუშიშვილი**, **ნელი სულიკაშვილი** (პედაგოგი – **ანა ჭიაბრიშვილი**) და X-კლასელი **ქეთი აზარიაშვილი**. ამ გოგონებს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ლიტერატურული სალონი დიდი ხანია იცნობს, ისინი ლიტერატურული მარათონების დასწრებული თუ დაუსწრებელი ტურების მრავალგზის მონაწილენი და გამარჯვებულები არიან. ამჯერადაც მეტად საინტერესო ნამუშევრებით წარდგნენ სალონის შეკრებაზე.

საგარეჯოს №1 საჯარო სკოლის მერვეკლასელმა მოსწავლემ **გიორგი ქურხულმა**, მეათეკლასელებმა – **ესმა ქვლივიძემ** და **მარიამ დიღმელაშვილმა**, საინტერესო ლექსები და ჩანახატები წარმოადგინეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია გიორგი ქურხულის პატრიოტულ თემაზე დაწერილი ლექსები.

№ 2 საჯარო სკოლის მეათეკლასელმა **მარიამ თედიაშვილმა** და მეთერთმეტეკლასელმა **ნატო ონაშვილმა** საკუთარი ლექსები წაიკითხეს. აღსანიშნავია, რომ ნატო 4 წელია მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ლიტერატურული სალონის წევრია, კარგადაც ხატავს და მის შემოქმედებას ბევრი თანატოლი იცნობს როგორც ნახატებით, ასევე ლექსებითა და ჩანახატებით.

შეხვედრას ესწრებოდნენ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის პედაგოგები, წრეების მოსწავლეები, პედაგოგები საგარეჯოს № 3 საჯარო სკოლიდან, ქალბატონი **ანა ჭიაბრიშვილი** და წყაროსთავის საჯარო სკოლის პედაგოგი **მარიკა გივიშვილი**, რომლებიც თავად შემოქმედი ქალბატონები არიან. მათ შეაფასეს თითოეული მოსწავლის ნამუშევარი და აღნიშნეს, თუ რამდენად სწორად იყენებენ ნორჩი შემოქმედები ლექსთაწყობის მთავარ სახეებს, ლექსის ზომას, რითმებს, ქართულ კილო-კავებს, ხატოვან გამოთქმებს და შინაარსის გადმოსაცემად ზუსტ, შესატყვის ფრაზებს. ესაუბრნენ მოსწავლეებს პოეტური ენის თავისებურებებსა და დანიშნულებაზე.

26 მაისს საგარეჯოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში გაიმართა საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი კომპლექსური ღონისძიება: 1. ამერიკული საბჭოების წარმომადგენელთან, **მარი ღრეულთან** ერთად ჩატარდა ლიტერატურული მარათონი შემოქმედი ახალგაზრდებისათვის; 2. გაიხსნა ბავშვთა ნახატების გამოფენა „ქართული ხალხური ზღაპრის გმირები“. გამოფენა გახსნა და მონაწილეებს სიგელები გადასცა მხატვარმა ნინო ჯანგულაშვილმა; 3. ჩატარდა ინტელექტთამაში „დამოუკიდებელი საქართველო 1918-1921 წლებში“, რომელსაც უძღვებოდა საგარეჯოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ინტელექტკლუბის ხელმძღვანელი ბადრი დრეიძე; 4. გაიმართა პატრიოტული ლექსის ზეიმი, მონაწილეებმა წაიკითხეს, როგორც სხვადასხვა ავტორების, ასევე საკუთარი ლექსები. კომპლექსურ ღონისძიებაში მონაწილეობდნენ საგარეჯოს №1, 2, 3, პატარძეულის, ნინოწმინდის, გიორგიწმინდის, ხაშმის, ბადიაურის, დიდი ჩაილურის საჯარო სკოლების მოსწავლეები, პედაგოგები, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის წრეების წევრები. ღონისძიების დასასრულს მონაწილენი დაჯილდოვდნენ სიგელებით და სერტიფიკატებით. (ლიტერატურული მარათონის ჟიურის შემადგენლობაში მონაწილეობდა პატარძეულის საჯარო სკოლის დირექტორი ქალბატონი ნინო ბურდიაშვილი, ამერიკული საბჭოების წარმომადგენელი საგარეჯოში მარიამ ღრეული, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ლიტერატურული სალონის ხელმძღვანელი ნატო ნადირაშვილი და მ/ა სახლის დირექტორი თამარ ჯაბადარი).

1 ივნისს, საგარეჯოს კულტურის სასახლის მიმდებარე სკვერში გაიმართა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საზეიმო კონცერტი, რომლის ინიციატორი, ტრადიციულად, საგარეჯოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლი გახლავთ; კონცერტის მხარდამჭერები – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი, ბატონი **გია ჩალათაშვილი**, კულტურის სამსახური (დირექტორი – ბატონი **ბესიკ ღვინაშვილი**) და ახალგაზრდული სამსახური (**ნაზი არჩუაძე**). ამ დღეს საგარეჯოს სტუმრობდნენ: საქართველოს პარლამენტის წევრი ბატონი **გია როინიშვილი**, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის დეპუტატი ბატონი **ზაზა გულიკაშვილი**, განათლების მინისტრის მოადგილე, ქალბატონი **ირინე ქურდაძე**, რომლებიც მიესალმნენ შეკრებილ ბავშვებს, მათ პედაგოგებს, მშობლებს, მოქალაქეებს და ბედნიერი მომავალი უსურვეს. საზეიმო კონცერტში მონაწილეობდნენ საგარეჯოს №1 და №3 საბავშვო ბაღების აღსაზრდელები (მენეჯერები – **თამარ ლაფერიშვილი** და **მზია ბეჟიტაშვილი**, ბავშვთა ვოკალური სტუდიის პატარა მომღერლები, **ირინა ბაირამაშვილის** და **თეა ხატიაშვილის** ხელმძღვანელობით, თოხლიაურის ბავშვთა ვოკალური სტუდიის მოსწავლეები – **ლიკა გაბროშვილი** და **გიორგი ანდრიაშვილი** (პედაგოგი – **მაია სირბილაშვილი**), ქორეოგრაფიული ანსამბლი „ნაკადული“ (ქორეოგრაფი – **თინათინ სუხიაშვილი**); პატარძეულის კულტურის სახლთან არსებული ბავშვთა ვოკალური სტუდიის მოსწავლეები: **ნინო ცხვარიაშვილი** და **ნინო მუჩიაშვილი** (პედაგოგი – **თეა ცხვარიაშვილი**) ასევე საგარეჯოს ბავშვთა ვოკალური სტუდიის სოლისტი **გიორგი ლაფაჩიშვილი** და ამავე სტუდიის მოსწავლეები მარინა ურდულაშვილის ხელმძღვანელობით. სკვერში გამოფენილი იყო საგარეჯოს

სხვადასხვა სკოლებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის ხატვის წრის (ხელმძღვანელი – **ჯემალ მახარიკაშვილი**) მოსწავლეთა ნამუშევრები, თემაზე – „ქართული ხალხური ზღაპრების გმირები“. ყველა მონაწილეს და მათ პედაგოგებს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის სიგელები და მადლობის ფურცლები გადაეცათ. კონცერტში მონაწილეობდა 176 ბავშვი და 20 პედაგოგი. საზეიმო კონცერტს უძღვებოდნენ საგარეჯოს №2 საჯარო სკოლის მოსწავლეები, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის საბავშვო თეატრის (ხელმძღვანელი – **ირინე დრეიძე**) წევრები – **მარიამ თედიაშვილი** და **სალომე ჯაბადარი**.

2 ივნისს, საგარეჯოს მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში, გაიმართა საბავშვო თეატრების შეკრება. თემა – „ვაჟა-ფშაველას შემოქმედება“. შეხვედრაში მონაწილეობდნენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლების – პატარძეულის, პატარა ჩაილურისა და უჯარმის – საჯარო სკოლების საბავშვო თეატრები. პატარა მსახიობებმა წარმოადგინეს ძალიან საინტერესო კომპოზიციები და ნაწყვეტები ვაჟას შემოქმედებიდან. კიდევ ერთხელ „ჩაგვახედეს“ ამ ბუმბერაზი მწერლის შემოქმედებაში, მისი სულის „მარგალიტებს“ შეგვახეს, ბუნების სიდიადე და ძალა დაგვანახეს. დასასრულ, ყველა მონაწილეს და პედაგოგს გადაეცა სიგელები.

ამ შეხვედრით „მოსწავლე ახალგაზრდობის დღეები – 2012“-ით გათვალისწინებული პროგრამა დასრულდა. წინ ცხელი ზაფხული და სასიამოვნო არდადეგები ელოდებათ ბავშვებს.

ლეილა არჩემაშვილი

სასკოლო ღონისძიება

რატომ ტირის გოდერძი ჩოხელი?

„ერთ მივარდნილ ხეობაზე ვწერ – გუდამაყრის ხეობაზე. გუდამაყარი ჩემთვის ერთი დიდი გადაშლილი წიგნია. დიდიხანია მინდოდა გუდამაყრელებზე რომანის დაწერა, მაგრამ ვერა და ვერ მოვახერხე. თუმცა ჯერ სულ 25 წლისა ვარ და სულ 3 წელია მას აქეთ, რაც მწერლობა დავიწყე, მაგრამ ასე მგონია, სამი წლის მაგიერ სამი საუკუნეა გასული და ვიტანჯები, რომ დღემდე გუდამაყრის ხეობის შესახებ ვერ დავწერე“ . – ეს არის ნაწყვეტი გოდერძი ჩოხელის რომანიდან „ადამიანთა სევდა“. სწორედ ამ სიტყვებით გაიხსნა 17 მაისს თეთრიწყაროს №1 საჯარო სკოლაში გოდერძი ჩოხელის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობდნენ ქართული ენისა და ლიტერატურის კლუბის წევრები და მათთან ერთად მერვე კლასიც.

ჩემი ასაკის მოსწავლეები ნაკლებად ვიცნობთ გოდერძი ჩოხელის შემოქმედებას. ამ მიზნით, გადავწყვიტეთ გავცნობოდით მის ნაწარმოებებს და ფილმებს, რაშიც დიდი დახმარება გაგვიწია ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრამ და პედაგოგმა **ლია მაისურაძემ**. მოვამზადეთ კოლაჟი „კუზიანი დედამიწა“, მწერლის ფოტოალბომიდან. სცენაზე ერთმანეთს ენაცვლებოდნენ: წამყვანები, დეკლამატორები, მუსიკალური შემსრულებლები.

ჩვენ თვალწინ გაცოცხლდა მწერლის ყრმობის წლები, შემდგომი ცხოვრების გზა როგორც მწერლის მოგონებიდან, ასევე მისი ნაცნობ მეგობრებისაც.

ამონარიდი გოდერძი ჩოხელის ხელნაწერიდან: *„რატომღაც მგონია, რომ ლექსის ამოთქმა, უპირველესად, მოყვარისა და ღმერთის წინაშე ლოცვაა. ამ ლოცვის დროს პოეტები გულსა და სულს ანათებენ სანთლად და ამ სანთლის ალთან წარმოთქმული ლოცვა ისე ანათებს, რამდენადაც მოყვასისა და ღმერთის წინაშე მსხვერპლად შემწირველთა მოქმედის გული და სული. ძალიან მინდა ჩემგან წარმოთქმულმა ამ ლოცვებმა ცოტათი, სულ მცირედ მაინც, გაგითბოთ გული, ამით მე მართლა, ძალიან ბედნიერი ვიქნები“.*

ვიდეოკოლაჟით წარმოდგენილი სლაიდები კარგად ერწყმოდა ჩვენი დეკლამატორების: **შოთა ბაბლუანის, გიორგი სამხარაძის, ნიკოლოზ ოგბაიძის, თამარ მძელურის, ია დალაქიშვილის, ელენე მუჯირიშვილის** და სხვათა მიერ წაკითხულ ლექსებსა და ნაწყვეტებს გოდერძი ჩოხელის შემოქმედებიდან.

„ამომიტანეთ, რომ მოვკვდები,
საჯიხვეზე ამომიტანეთ.
აქედან კარგად ჩანს საქართველო,
აქ ნისლი დიდხანს არ ჩნდება
აქ ნისლი ქარში იწეწება“.

წერს გუდამაყარსა და საქართველოზე უზომოდ შეყვარებული მწერალი:

„მე კი დავრჩები ქვეყანას
ჭრელ-ჭრელა ყვავილივითა,
თავ-თმაზე შემოსაწნავად
ნეფიონთ გვირგვინივითა.
სიკვდილ-სიცოცხლის შემკვრელად
ოქროს საამო მძივითა
დავრჩები გასახსენებლად
ლამაზი სიკვდილივითა“.

„ – მაშ რატომ ტირიან ადამიანები?“ – აგრძელებენ კითხვას VIII კლასის მოსწავლეები: **ნატო ებრალიძე** და **მერი მეტრეველი**.

„– ეშინიათ და იმიტომ.
– რისი ეშინიათ?
– დასაწყისის. ვისაც ეშინია, ის არ ტირის.
– მაგრამ სხვა როცა ტირის სხვის სიკვდილს?
– თავის თავი ჰყავს მის ადგილას წარმოდგენილი. მკვდარი არ ტირის. იმიტომ, რომ სიკვდილი უკვე დასაწყისია“.

რაიმეს დასასრულში თუ ყოველთვის დასაწყისი დგას – მაშინ რატომ ტირის გოდერძი ჩოხელი? – კითხულობს **გიორგი ბეკოშვილი**. აქვე თვითონ სცემს პასუხს: იქნებ იმიტომ, რომ ადამიანთა სევდით სავსე გუდა დაჰქონდა და ის აწუხებდა, რომ ვერავის უქარვებდა ამდენ სევდას, ცოტათი შვება მაინც რომ მიეცა მათთვის.

ეკრანზე გაცოცხლდნენ მწერლის მოთხრობების გმირები, მისი გადაღებული ფილმებიდან. ვნახეთ და განვიხილეთ გოდერძი ჩოხელის ფილმი „აღდგომა“.

პოეტი, მწერალი, სცენარისტი, კინორეჟისორი – ასეთი იყო გოდერძი ჩოხელი. სევდიანი წავიდა ამ ქვეყნიდან და თან გაიყოლა ფიქრი სამშობლოზე, ხალხზე, გუდამაყარზე.

ჩვენ კი განსასჯელად თავისი შემოქმედება დაგვიტოვა.

ნათია თვალიაშვილი
თეთრიწყაროს №1 საჯარო სკოლის
მე-8 კლასის მოსწავლე

ინფორმაცია

* * *

ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლაში სასწავლო წლის დამამთავრებელი საზეიმო ღონისძიებები გაიმართა. „სპორტისა და დაჯილდოების დღე“ ბაქსვუდის სკოლაში, ტრადიციულად, ყოველწლიურად იმართება. წელს ეს დღე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან სკოლას პირველი გამოშვება ჰყავს. აღსანიშნავია, რომ ბაქსვუდის სკოლა, სასკოლო გამოცდების შედეგის მიხედვით, საქართველოს მასშტაბით, მე-4 ადგილზე გავიდა.

2 ივნისს, ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლაში, სხვადასხვა სპორტული და თეატრალიზებული წარმოდგენები გაიმართა, ღონისძიების ბოლოს კი, დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალზე სხვადასხვა ნიშნით გამორჩეული და წარმატებული მოსწავლეები დაჯილდოვდნენ. მოწვეულ სტუმართა შორის იყვნენ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი და ბაქსვუდის სკოლის დირექტორი (დიდი ბრიტანეთი) ჯაილს სატონი.

ბაქსვუდის საერთაშორისო სკოლა თავის აღსაზრდელებს დიდი ბრიტანეთისა და საქართველოს აკადემიური და არააკადემიური დისციპლინების საუკეთესო ტრადიციებისა და გამოცდილების სინთეზს სთავაზობს. გარდა იმისა, რომ სკოლა მაღალი ხარისხის ზოგად განათლებას იძლევა, აქ განსაკუთრებული ყურადღება დისციპლინირებული და კანონმორჩილი თაობის აღზრდას ეთმობა.

სკოლის მთავარ უპირატესობას თითოეული მოსწავლისადმი ინდივიდუალური მიდგომა წარმოადგენს. მდიდარი საერთაშორისო გამოცდილება, მოტივირებული, პროფესიონალი პედაგოგები, კეთილგანწყობილი ადმინისტრაცია, მუდმივად განახლებადი და განვითარებადი სასწავლო პროგრამა მაღალი შედეგების მიღების შესაძლებლობას უზრუნველყოფს.

* * *

საქართველოს პრემიერ მინისტრი ნიკა გილაური და განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი სკოლის დირექტორებს შეხვდნენ და მათთან ერთად შეაჯამეს 2011-2012 წლის საატესტატო გამოცდები. შეხვედრას იმ სკოლის დირექტორებიც ესწრებოდნენ, რომელთა მოსწავლეებმაც გამოსაშვებ გამოცდებზე განსაკუთრებით მაღალი შედეგები აჩვენეს.

აღსანიშნავია, რომ საუკეთესო შედეგების მქონე 20 სკოლას შორის მხოლოდ 5 კერძო სკოლაა, დანარჩენი საჯარო სკოლებია. ასევე მნიშვნელოვანია, რომ წარმატებულ სკოლებს შორის რეგიონის სკოლები ჭარბობენ. შედეგების მიხედვით რეგიონების სკოლებში სწავლის ხარისხი მნიშვნელოვნად ამაღლდა, რასაც ხელი სასწავლო გარემოს გაუმჯობესებამ შეუწყო. რეგიონებში ბევრი ახალი სკოლა აშენდა და გარემონტდა, საქართველოს მასშტაბით სკოლები აღიჭურვა ახალი კომპიუტერებითა და School Box-ებით, საბუნებისმეტყველო „აინშტაინის ლაბორატორიებით“, დღეს სასწავლო გარემო ქალაქის სკოლასა და თანამედროვე სტანდარტების სოფლის სკოლაში იდენტურია.

ამაღლდა მასწავლებელთა ცოდნის ხარისხიც, მასწავლებელთა სახლებში მიმდინარეობს პედაგოგთა ინტენსიური გადამზადება. ყველა სკოლაში ინგლისურენოვანი მასწავლებელი ადგილობრივ პედაგოგთან ერთად მოღვაწეობს. დიმიტრი შაშკინის განცხადებით, საატესტატო გამოცდების შედეგებმა აჩვენა, რომ საქართველოში განათლების სისტემა სწორი მიმართულებით ვითარდება და ეს პროცესი შეუქცევადია.

იურისტის კონსულტაცია

ირღვევა თუ არა სკოლების ავტონომიურობის პრინციპი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სამეურვეო საბჭოში სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა წევრობით?

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად სამეურვეო საბჭო შედგება მშობლებისა და პედაგოგიური საბჭოს მიერ თანაბარი რაოდენობით, 3 წლით არჩეული, არანაკლებ 6 და არა უმეტეს 12, წარმომადგენლისაგან, საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ არჩეული 1 წარმომადგენლისაგან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დანიშნული 1 წევრისაგან, ხოლო იმ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელიც ახორციელებს სამხედრო მომზადებასა და განათლებას, – აგრეთვე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ დანიშნული 1 წევრისაგან. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო უფლებამოსილია სამეურვეო საბჭოში დანიშნოს 1 წევრი. სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში შეიძლება შეყვანილ იქნეს სამეურვეო საბჭოს მიერ სკოლისათვის დადასტურებულად ქველმოქმედების გამწევ პირთაგან (ასეთების არსებობის შემთხვევაში) არჩეული 1 წევრი.

სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე მონაცვლეობით აირჩევა საბჭოს შემადგენლობაში მშობლებისგან და პედაგოგიური საბჭოსგან არჩეულ წევრთაგან და ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს წარმომადგენლისაგან.

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტონომია მოიცავს სკოლის დამოუკიდებლობასა და თვითმმართველობას, რომლის ერთ-ერთი სუბიექტი არის სამეურვეო საბჭო. სკოლების ავტონომიურობა გულისხმობს სამეურვეო საბჭოს დაკომპლექტებას სკოლის შიდა სტრუქტურების წარმომადგენელთაგან, სამეურვეო საბჭოში სახელმწიფოს და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ წარმომადგენლების დანიშვნით ირღვევა სკოლის დამოუკიდებლობისა და ავტონომიურობის პრინციპი.

რა უფლებამოსილებები აქვს სკოლის სამეურვეო საბჭოს?

სკოლის სამეურვეო საბჭო:

ა) სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს სკოლის დირექტორს;

ბ) სკოლის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს, აგრეთვე ამტკიცებს დირექტორის მიერ მომზადებულ წლიურ ანგარიშს და უზრუნველყოფს მის საჯაროობას;

გ) სკოლის დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს სკოლის შინაგანაწესს;

დ) გამოხატავს თანხმობას პედაგოგიური საბჭოს მიერ შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმის, სასწავლო მასალის, მათ შორის, გრიფმინიჭებული, პედაგოგების მიერ შერჩეული, სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელი სახელმძღვანელოების ნუსხის თაობაზე;

ე) აკონტროლებს სკოლის დირექციის მიერ ფინანსების ხარჯვასა და ქონების განკარგვას;

ვ) უფლებამოსილია, შრომითი ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, ხელშეკრულება შეუწყვიტოს სკოლის დირექტორს;

ზ) ინახავს და აღრიცხავს სამეურვეო საბჭოში მშობელთა და პედაგოგიური საბჭოს წარმომადგენელთა არჩევნების ბიულეტენებსა და ოქმებს;

თ) სკოლის წესდებით გათვალისწინებული წესით განიხილავს საჩივრებს და იღებს შესაბამის ზომებს;

ი) უფლებამოსილია, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, სასწავლო წლის დამამთავრებელი გამოცდების ჩატარების მიზნით, დაავალოს დირექტორს, მიმართოს გამოცდების ეროვნულ ცენტრს და დადოს შესაბამისი ხელშეკრულება;

კ) უფლებამოსილია მოსთხოვოს სკოლის დირექტორს, ვადამდე შეუწყვიტოს შრომითი სააღმზრდელო საქმიანობისათვის შეუფერებელი ქმედების ჩადენისას და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

ლ) დისციპლინური გადაცდომების განხილვის მიზნით, სკოლის წესდებით გათვალისწინებული წესით ირჩევს დისციპლინურ კომიტეტს, რომლის შემადგენლობაში შედის თანაბარი რაოდენობის მასწავლებელი, მშობელი და საშუალო საფეხურის მოსწავლე. სამეურვეო საბჭო უფლებამოსილია წესდებით გათვალისწინებული წესით დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილებების შესახებ საჩივრები თავად განიხილოს ან შექმნას სააპელაციო კომიტეტი. სააპელაციო კომიტეტი, სამეურვეო საბჭო განიხილავს აგრეთვე საჩივრებს, რომლებიც ეხება დირექტორის მიერ დისციპლინურ გადაცდომებზე მიღებულ გადაწყვეტილებებს. დაუშვებელია დისციპლინური კომიტეტის ან სააპელაციო კომიტეტის სპეციალური შემადგენლობის მონვევა კონკრეტული შემთხვევის განხილვის მიზნით;

მ) ითანხმებს სკოლის დირექტორის მიერ წარმოდგენილ სკოლის წესდების პროექტს.

აქვს თუ არა უფლება სკოლის დირექტორს ეწეოდეს სხვა ანაზღაურებად საქმიანობას იმავე სკოლაში?

დირექტორის თანამდებობა შეუთავსებელია ნებისმიერ სხვა ანაზღაურებად საქმიანობასთან იმავე სკოლაში. გამონაკლისის სახით, დირექტორი, თუ მას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აქვს პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების უფლება, უფლებამოსილია ეწეოდეს პედაგოგიურ საქმიანობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

რას გულისხმობს ინტერესთა კონფლიქტი „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად?

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სამეურვეო საბჭოს წევრი არ შეიძლება იყოს სკოლის დირექციის წევრი.

სამეურვეო საბჭოში, როგორც მოსწავლის მშობელი, არ შეიძლება იყოს პირი, რომელსაც ამავე სკოლასთან აქვს შრომითი ურთიერთობა.

საჯარო სკოლის მიერ დადებული გარიგების, გარდა შრომითი ხელშეკრულებისა, მეორე მხარე არ შეიძლება იყოს სკოლის დირექტორი, დირექციის სხვა წევრი, სამეურვეო საბჭოს წევრი ან ამ პირთა ახლო ნათესავი.

საჯარო სკოლის დირექტორსა და მის ახლო ნათესავს შორის შრომითი ხელშეკრულების დასადებად სავალდებულოა სამეურვეო საბჭოს თანხმობა. თუ სამეურვეო საბჭოს წევრი გარიგების მეორე მხარის ახლო ნათესავია, იგი არ მონაწილეობს კენჭისყრაში.

საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს, დისციპლინური კომიტეტის და სააპელაციო კომიტეტის წევრები არ შეიძლება იყვნენ ერთმანეთის ახლო ნათესავები. გამონაკლისის დაშვება შეიძლება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობით, მცირეკონტინგენტიან სკოლებში.

თამარ ავალიანი
საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის იურისტი

სასკოლო ღონისძიება

* * *

24 მაისს, ახალციხის ი. ჭავჭავაძის სახელობის №5 საჯარო სკოლის დაწყებით კლასებში ღია გაკვეთილები ჩატარდა. ვინაიდან 24 მაისი ამაღლების ბრწყინვალე დღესასწაული იყო, მეცადინეობა დაიწყო აღნიშნული დღის მილოცვით

II5 კლასში (პედაგოგი – **მარინა ჯვარიძე**)ინტეგრირებულ გაკვეთილზე – ქართული ენა-ბუნება – პედაგოგმა წარმოადგინა „საქართველო ჩემი სამშობლოა“. სასიამოვნო სანახავი იყვნენ საქართველოს დროშის გამოსახულებიან მაისურებში გამოწყობილი პატარები. საკლასო ოთახში სასიამოვნო გარემო იყო. წარმოდგენილი იყო საქართველოს კუთხეები თავისი ტრადიციებით. პატარებმა ჯგუფური მუშაობისას დაამზადეს საქართველოს დროშა, სლოგანით: „მე მიყვარს საქართველო“.

III2 კლასში (პედაგოგი – **ლია კაველიძე**) ჩატარდა ქართული ენის გაკვეთილი, თემა – სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკი „კუ და მორიელი“. პედაგოგმა პატარებს სიკეთისა და ბოროტების არსი დაანახა. პატარებმა ისაუბრეს კეთილ და ბოროტ ადამიანებზე. ინსცენირებით გადმოსცეს გაკვეთილის შინაარსი. მოსწავლეებმა ჯგუფური მუშაობის დროს დახატეს კეთილი და ბოროტი ადამიანები თავიანთი წარმოსახვით. განტვირთვის მიზნით, პატარებმა მუსიკის ფონზე ივარჯიშეს.

III3 კლასში (პედაგოგი – **მარიამ მიქაბერიძე**) ჩატარდა ღია გაკვეთილი ხელოვნებაში, თემა – „ცხოველთა სამყარო ფიროსმანის შემოქმედებაში.“ მასწავლებელმა პატარებს ფიროსმანის ტრაგიკული ბიოგრაფია გააცნო, აჩვენა ფიროსმანის ნახატები. ჯგუფური მუშაობის დროს პატარებმა დაამზადეს ცხოველების მოდელები. ნორჩმა მხატვარმა კლასში წარმოდგენილი ნატურმორტი შეასრულა.

გაკვეთილის მსვლელობისას პედაგოგებმა მაქსიმალურად გამოიყენეს თანამედროვე ტექნოლოგიები. ყველა გაკვეთილზე ნაჩვენები იყო თემის შესაბამისი სლაიდები.

გაკვეთილს ესწრებოდნენ: სკოლის დირექტორი, ქალბატონი **ჟენია მერაბიშვილი**, სასწავლო ნაწილის გამგე **მაყვალა კაჭკაჭიშვილი**, კათედრის ხელმძღვანელი **რიტა კირკიტაძე** და პედაგოგები.

რიტა კირკიტაძე
კათედრის ხელმძღვანელი,
ახალციხის ი. ჭავჭავაძის სახ.
№5 საჯარო სკოლა

„მომავალი ჩვენია!“

ბავშვები... უფლისგან ნაბოძები სიცოცხლის ნერგები, ისინი გვაცოცხლებენ, სტიმულს გვაძლევენ, გვახალისებენ, სიყვარულის ფერებით გვივსებენ სამყაროს.

1 ივნისს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში აღნიშნავენ ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს.

ამ ღირსშესანიშნავ თარიღს მიეძღვნა მუსიკალურ-ლიტერატურული საღამო „მომავალი ჩვენია!“ (მოამზადა ჩაქვის №1 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკარმა **ეთერ ბეჟანიძემ**). საღამო მიჰყავდა IV2-კლასელ **დათო ქათამაძეს**.

საღამოზე მოსწავლეებმა ჩამოაყალიბეს ბავშვთა უფლებები და მოვალეობები, რომელსაც მთელი წლის მანძილზე სწავლობდნენ საგანში – „ტოლერანტობა“.

წაიკითხეს ლექსები სამშობლოზე, მშვიდობაზე, მეგობრობაზე, შრომაზე და სხვ. შეასრულეს სიმღერები და ცეკვები. დასასრულს წარმოადგინეს ზღაპარი „რწყილი და ჭიანჭველა“. „ეს ზღაპარი ჩვენ გვასწავლის: „ძმა ძმისთვისაო, შავი დღისთვისაო“ – აცხადებს **მიშა კუნჭულია**.

საღამო შეაფასა და პატარებს მომავალში წარმატებები უსურვა სკოლის დირექტორმა, ბატონმა **ტარიელ ქათამაძემ**.

მაია ვერძაძე
ჩაქვის №1 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასის მასწავლებელი

ოპოზართა ღირსეული მთამომავალი

გვიანი შემოდგომა იყო, ზუსტად არ მახსოვს საიდან ვბრუნდებოდი შინ. ჭიშკართან უცხო მანქანა იდგა, მანქანის კარს შუახნის სიმპათიური მამაკაცი მიყრდნობოდა, აშკარად ვიღაცას ელოდა. დამინახა თუ არა, მანქანის კარი გამოაღო, უკანა სავარძლიდან ძახველის ულამაზესი რტო გადმოიღო და ღიმილით გამომიწოდა. მადლობა მოვახსენე და ის იყო უნდა შევკითხოდი ვინ ბრძანდებოდა, რომ პასუხი დამასწრო: თემურის მამა ვარო (თემური ჩემი ახალი მეზობელია).

ასე გავიცანი **ჯემალ გოგიშვილი** – ლითონის მხატვრული დამუშავების ოსტატი-მოდელიერი, სახვითი ხელოვნების ლაურეატი, საქართველოს მხატვართა ასოციაციის პრეზიდენტი, ფიროსმანის სახელობის საერთაშორისო ფონდის პრეზიდენტი, ამერიკაში გამომავალი გაზეთის „ნდობის“ მხატვრული რედაქტორი და მისი წარმომადგენელი საქართველოში, წარსულში – ბერძნულ-რომაული სტილის მოჭიდავე, სპორტის ოსტატი.

ბატონ ჯემალს მონაწილეობა აქვს მიღებული საერთაშორისო გამოფენებში: ბრიუსელში, ოკლაჰომაში, ჩიკაგოში, ნიუ-იორკში, იზმირში, ალჟირში, ვენაში, პარიზში, ტოკიოში, კრაკოვში, პრაღაში, რიო-დე-ჟანეიროში, რომში და ა.შ., სულ – 32 საერთაშორისო გამოფენაში. პერიოდულად მონაწილეობს ანტიკვარული ნამუშევრების რესტავრაციაში ატლანტაში.

ჯემალ გოგიშვილი დაბადებულა სამხედრო მოსამსახურის ოჯახში, ადრეული ბავშვობა გერმანელების მიერ ოკუპირებულ ქალაქ მინსკში გაუტარებია, ყოფილა პოლკის შვილობილი, თადარიგის ოფიცერი.

ასეთი საინტერესო ბიოგრაფიის კაცი განგებას პოეტური ნიჭითაც დაუსაჩუქრებია და მიუხედავად იმისა, რომ მისი ლექსები იბეჭდებოდა რუსეთისა და ამერიკის რუსულენოვან გაზეთებში, მონაწილეობა აქვს მიღებული რუსეთის ზონალურ ლიტერატურულ კონკურსში და მესამე პრემიითაც არის დაჯილდოვებული, პოეტობის პრეტენზია არა აქვს, უბრალოდ, ლექსი მისი შინაგანი მოთხოვნილებაა. უსაზღვროდ უყვარს ქართული ხალხური სიმღერები და, ამავდროულად, გატაცებულია კრიპტოგრამების და ციკლოკროსვორდების შედგენით.

თუმცა, ბატონი ჯემალი მრავალმხრივი ნიჭითაა დაჯილდოებული, იგი, უპირველესად, ოქრომჭედელი-პოეტია, მრავალი ულამაზესი განძის ავტორი.

როგორც ისტორია გვამცნობს, ჭედური ხელოვნება ლითონის დამუშავების უძველესი დარგია, რომლის ტრადიციაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში არსებობდა. ჭედური ნივთები შემონახულია წინადინასტიური ხანის ეგვიპტესა და მესოპოტამიიდან.

საქართველოში ჭედურ ხელოვნებას ოდითგანვე მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში. არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი განძეულობა დღესაც აღტაცებას იწვევს მხატვრული სრულყოფითა და ვირტუოზული ოსტატობით.

გავა კიდევ მრავალი ასწლეული თუ ათასწლეული, დედამიწაზე სხვა ცივილიზაცია დაისადგურებს, თაობები შეცვლიან ერთმანეთს, ალბათ კვლავ გაჩნდება სურვილი გარდასულ ეპოქათა შესწავლისა. არქეოლოგიური გათხრებისას მიგნებულ მტვერწაყრილ განძთა შორის ჯემალ გოგიშვილის ნახელავი სამკაულებიც გაიბრწყინებს, რომელიც სამუზეუმო ექსპონატებთან ერთად მინის „სარკოფაგებში“ დაიდებს ბინას. დაიბადებიან ახალი ბეშქენ და ბექა ოპიზარები და, ასე, დაუსრულებლად გაგრძელდება ჭედური ხელოვნების ტრადიცია, რომლის ისტორიაც ძალზე ვრცელია და საინტერესო.

ზემოთ მოგახსენეთ, რომ ბატონი ჯემალი პოეტიც გახლავთ. ახლა ჩემს ხელთაა მის მიერ ნაჩუქარი კრებული, რომელშიც საოცარი გულწრფელობითაა გაცხადებული ჭეშმარიტი ქართველი კაცის პატრიოტიზმი, სიყვარული, სევდა, ტკივილი, ნოსტალგია (ბატონი ჯემალი წლების მანძილზე ცხოვრობდა ამერიკაში), ჯანსაღი იუმორი. ამ ლექსებში შეხვდებით ბავშვური მიამიტობით დაწერილ სტრიქონებსაც, რაც ავტორის სულის სიწმინდეზე მეტყველებს.

მე საქართველოს
სიყვარულში რადგანაც ვიშვი,
ამიტომ დავალ
ამ მიწაზე მისი სახელით,
ვარ მისი შვილი
ცხადში და ძილში,
ვარ საქართველოს
ერთგულების გამომსახველი.
ვარ საქართველოს
ჩამოქნილი ერთი სანთელი,
ამ მიწაწყალზე
რისთვის მოველ
მე კარგად ვიცი!
მხოლოდ ამიტომ,
მხოლოდ ამიტომ,
როგორც სანთელი,
მის სადიდებლად
ვდნები და ვიწვი.

* * *

ბატონი ჯემალი წიგნის წინასიტყვაობაში ბრძანებს: *„ვარ ჩემი ქვეყნის პატრიოტი, ვუფრთხილდები მის ღირსებას, მისი სიხარული ჩემი სიხარულია, მისი ტკივილი ჩემი ტკივილია“.*

ღმერთმა ნუ მოგიშალოთ სიხარული ბატონო ჯემალ, წარმატებით გევლოთ გამთლიანებულ და აღორძინებულ საქართველოს მიწაზე და თქვენი ნატიფი ხელოვნებით მრავალგზის გაგეხარებინოთ თქვენი უზადო პიროვნებისა და შემოქმედების თაყვანისმცემლები.

თინათინ ელგაძიძე

პროფესიონალთა კლასი

სიყვარულით განვლილი წლები

გაზაფხულის მშვენიერ დღეს პატივგების საღამო მოეწყო ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვარას საჯარო სკოლაში.სკოლამ, სოფელმა და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ ამაგდარი, ღვაწლმოსილი პედაგოგი, სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, დირექტორის მოადგილე აღმზრდელობით მუშაობის დარგში **ნინა ჯინჭარაძე** პენსიაზე საზეიმოდ გააცილეს. მას საჯაროდ, ყველას გასაგონად უთხრეს მადლობა იმ წლებისათვის, თავისი სოფლის სამსახურში რომ იდგა და მომავალი თაობის აღზრდას ემსახურებოდა.

დარბაზი სავსეა მოსწავლეებით, მასწავლებლებით, სოფლის მშრომელებით, ყოფილი მოსწავლეებით, ოჯახის წევრებით, უახლოესი მეგობრებით. აქ არიან აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლები, სოფლის ხელმძღვანელობა. დარბაზის კედელზე ყურადღებას იპყრობს ლამაზი წარწერა – *„გზას გილოცავთ ამაგდარო!“*. მეორე კედელზე კი, ამ დღის მთავარ გმირს მოსწავლემ **მათე ჩხიკვაძემ** თავისი ნახატების გამოფენა მიუძღვნა წარწერით: „ვუძღვნი ჩემს საყვარელ ნინა მასწავლებელს!“.

დარბაზს მოეფინა გურამ თამაზაშვილის ხავერდოვანი ხმა. მუსიკის ფონზე, ქალბატონმა ნინამ ვარდებით მოფენილ ბილიკზე შემოაბიჯა, მოდიოდა წლებით დამძიმებული ამაყი და ბედნიერი, მოსწავლეებმა სავარძლამდე მიაცილეს. პატივგების საღამო სოფლის საერთო ზეიმად იქცა. მოსწავლეებმა მის განვლილ გზაზე ისაუბრეს. ქალბატონმა ნინამ 52 წელი იმუშავა გვარას საჯარო სკოლაში და მრავალი თაობა აზიარა ქართული ენისა და ლიტერატურის სიდიადეს, 38 წელი კი – დირექტორის მოადგილედ აღმზრდელობითი მუშაობის დარგში.

ქალბატონი ნინა იყო საუკეთესოთა შორის საუკეთესო, უდიდესი პასუხისმგებლობის მქონე, შრომისმოყვარე, ჭეშმარიტი პედაგოგისათვის დამახასიათებელი ყველა თვისებით შემკული. იყო სკოლის პატრიოტი, აქტიური ცხოვრებისეული პოზიცია ეჭირა და მუდამ ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა. წლების განმავლობაში ნაცადი ურთიერთობის ტაქტი ჰქონდა შემუშავებული მოსწავლეებთან, რამაც განაპირობა ის, რომ ყველა მოსწავლისათვის საყვარელი მასწავლებელია. ასევე აფასებს მას ფართო საზოგადოება, ბევრი სიახლის ინიციატორია და ორგანიზატორული ნიჭით დაჯილდოებული, აქვს შესანიშნავი ოჯახი, ჰყავს ოთხი შვილი, ყველანი უმაღლესი განათლებით, 12 შვილიშვილი და 3 შვილთაშვილი.

ნინა მასწავლებელს მიღებული აქვს მრავალი ჯილდო, მათ შორის: 4 – საკავშირო, 8 – რესპუბლიკური, 7 – აჭარის, 24 – რაიონული. იყო ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ოთხგზის დეპუტატი, ორგზის სახალხო მსაჯული; აქტიურად მონაწილეობდა პედკითხვებში, მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებსა და საგნობრივ ოლიმპიადებში, რესპუბლიკურ და სამეცნიერო კონფერენციებში. მისი მუშაობა ორჯერ განაზოგადა აჭარის განათლების სამინისტრომ, არის უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი.

საღამო მოამზადეს მასწავლებლებმა – **მარინა ჯაიანმა და მელანო ზოიძემ.** ღონისძიების წამყვანებმა – **მირიან სურმანიძემ, მარი გიორგაძემ, კახა მეგრელიძემ** და **თამუნა ჯაიანმა** – გააცოცხლეს პედაგოგის ცხოვრებისა და შემოქმედებითი წლები.

ღონისძიება დაამშვენეს გვარას საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმა – ქალბატონ ნინას ქართველი პოეტებისა და საკუთარი ლექსები მიუძღვნეს, იმღერეს, იცეკვეს.

იუბილარს ეს დღე მიულოცეს: ქობულეთის რესურსცენტრის უფროსმა **მადონა გოგიტიძემ,** ყოფილმა მოსწავლეებმა – გვარას საჯარო სკოლის დირექტორმა **ნოდარ გოგმაჩაძემ,** დაბა ჩაქვის №1 საჯარო სკოლის დირექტორმა **ტარიელ ქათამაძემ,** ექიმებმა – **ამირან ხალვაშმა და ეთერ ანთაძემ,** პედაგოგებმა – **ნანი პაპუნაიშვილმა, მარინა ჯაიანმა, ჟუჟუნა ოქროპირიძემ,** იუბილარის ვაჟმა, ექიმმა **დურმიშხან მემარნემ**. დასასრულს იუბილარმა მადლობა გადაუხადა ყველას ღვაწლის დაფასებისათვის.

ლია გრძელიძე
გაზეთ „ჩემი ქობულეთის“
კორესპონდენტი

უნივერსიადას ისევ სტუ ლიდერობს

დედაქალაქის სპორტულ ბაზებზე გრძელდება „უნივერსიადა-2012“, რომელშიც ქვეყნის ყველა უმაღლესი სასწავლებლის გუნდი მონაწილეობს. გაიმართა შეჯიბრებები: ჩოგბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ძალისმიერ სამჭიდში, მკლავჭიდში და რაგბიში. ჩოგბურთში გოგონების ტურნირის გადამწყვეტ შეხვედრაში ერთმანეთს ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები შეხვდნენ – **თეონა ვეკუამ მარიამ ჭანტურია** დაამარცხა, რომელიც შარშანდელ უნივერსიადაზე მესამე იყო. ბრინჯაოს მედალი **ნინო ყაჯრიშვილმა** (სამედიცინო) მოიპოვა. მომავალი ექიმები სჭარბობდნენ ვაჟთა კვარცხლბეკზე, თუმცა მათ მხოლოდ ვერცხლ-ბრინჯაო დარჩათ, ჩემპიონი კი სტუ-ს წარმომადგენელი **ალექსანდრე თავხელიძე** გახდა. მან ფინალში **ბიძინა ამაშუკელს** სძლია, მესამე ადგილი კი **გიორგი ბერიძემ** მოიპოვა. თავხელიძე შარშან მესამეზე გავიდა, ამაშუკელი კი მაშინაც მეორე იყო.

ექიმებისთვის ზუსტად ასე განვითარდა მოვლენები მაგიდის ჩოგბურთშიც ვაჟთა შორის – იქაც კვარცხლბეკზე მათი ორი წარმომადგენელი დადგა, მაგრამ მეორე-მესამე საფეხურებზე, ოქროს მედალი კი სეუ-ს სტუდენტმა **დავით ცატურავმა** მოიპოვა. ვერცხლი **ვინსენტ პრაავენ სებასტიანს** ერგო, ბრინჯაო - **დავით დავითაძეს**. გოგონებში კვლავ ისახელა თავი სტუ-ელმა **მარიამ გოგჭურმა** და საფინალო შეხვედრაში **თამარ კირკიტაძეს** (საქართველოს უნივერსიტეტი) ჩემპიონობა არ დაანება, მესამე საპრიზო ადგილზე კი ბათუმელი **ნონა მარქარიანი** (შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტი) გავიდა.

7-კაცა რაგბიში გამართული ტურნირი უნივერსიადის ერთ-ერთი გამორჩეული შეჯიბრება გამოდგა, რომელშიც 11 უმაღლესი სასწავლებელი ჩაება. ფინალში თამაშის უფლება საქართველოს ეროვნული და ტექნიკური უნივერსიტეტების გუნდებმა მოიპოვეს, რომლებმაც მაყურებელს დაძაბული და დრამატული შეხვედრა შესთავაზეს. ორთაბრძოლა დამატებით დროში გაგრძელდა, სადაც ცოტათი სეუ-მ იძალა და 17:12 იმარჯვა. ამ ტურნირის ბაზაზე დაკომპლექტდება საქართველოს 7-კაცა ნაკრები, რომელიც ივლისში ესპანურ კორდობაში ევროპის საუნივერსიტეტო თამაშებში მიიღებს მონაწილეობას.

ამჟამად საქართველოს უნივერსიტეტის დარბაზში ფრენბურთელთა ტურნირი მიმდინარეობს, უახლოეს დღეებში კი გაიმართება შეჯიბრებები ქუჩის კალათბურთში, მშვილდოსნობაში, ტყვიის სროლასა და კრივში. უნივერსიადა 12 ივნისს დასრულდება. მას სადღეისოდ კვლავაც სტუ ლიდერობს როგორც მედლების საერთო რაოდენობით, ისე – ოქროს მედლებით. მათ ანგარიშზე 53 ჯილდოა, რაც ხარისხობრივად ასეა განაწილებული : 22 ოქრო, 13 ვერცხლი და 17 ბრინჯაო. მეორე ადგილზე აგრარული უნივერსიტეტია 44 მედლით (12, 13, 19), მესამეზე – თსუ 34 პრიზით (9, 15, 10).

ეტყობა, სტუ წლეულსაც გაიმეორებს შარშანდელ შედეგს, როცა გუნდურ ჩათვლაში საუკეთესო შედეგი აღმოაჩნდა. ოღონდ მაშინ მას ოქროს მედლებით ილიაუნი გაუთანაბრდა, წლეულს კი მათი დამწვევი არც ამ კომპონენტში ჩანს ვინმე

ფერიების ისტორიული მედალი

ბოლო ხანებში ბევრს ვწერდით ახალგაზრდა ქართველ მხატვრულად ტანმოვარჯიშეთა გუნდზე, რომელმაც ამ უქმეებზე ისტორიულ წარმატებას მიაღწია – ნიჟნი ნოვგოროდში გამართულ ევროპის პირველობაზე გუნდური მესამე ადგილი დაიკავა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ეს ქართული ტანვარჯიშისთვის პირველხარისხოვანი ტურნირების პირველი მედალია.

რუსეთის გუნდი უცვლელი შემადგენლობით გამოვიდა - **გაბრიელა ხვედელიძე**, **სალომე ფაჟავა**, **სოფიო ფარულავა**. ამათგან ცალკეულ იარაღებზე ყველაზე უკეთ ხვედელიძე გამოვიდა – საკვალიფიკაციო ეტაპი რგოლით მესამემ, გურზებით ვარჯიშში კი მეოთხემ დაასრულა. ფაჟავაც მესამე იყო ბაფთით, ფარულავა კი – მეხუთე ბურთით. ხვედელიძემ ტემპი ფინალშიც შეინარჩუნა, თუმცა საგნებში ადგილი გაცვალა - გურზებით ვარჯიშში საბოლოოდ მესამე ადგილზე გავიდა, რითაც ბრინჯაოს მედალიც ირგუნა. ასეთივე შედეგის მიღწევა რგოლზეც შეეძლო, მაგრამ იქ ძალიან ცოტათი ჩამორჩა მესამე პრიზიორს და მეოთხეზე დარჩა. თუმცა ჩვენი მწვრთნელები ამაში მსაჯებს ადანაშაულებენ, უმედლოდ დარჩენა კი თავად სპორტსმენსაც ძალიან განუცდია. ის ჯერ რგოლით ვარჯიშში გამოდიოდა და როცა ასე ცოტა დააკლდა მედლამდე, გაბრაზებულს დაუქადია, გურზებით მაინც მოვიპოვებ მედალსო და სიტყვა აასრულა. ფარულავა მეხუთეზე გავიდა, ფაჟავა – მეექვსეზე.

გუნდურში ჩვენებმა 104.324 ქულა დააგროვეს და უკან ჩამოიტოვეს სატანვარჯიშო მოდის ისეთი აღიარებული ლიდერები, როგორიც უკრაინა და ბულგარეთია. ჩემპიონი რუსეთის გუნდი გახდა, ვერცხლი კი ბელარუსმა მოიპოვა.

მინისტრი სკოლაში

1 ივნისს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ვლადიმერ ვარძელაშვილი** დედაქალაქის 165-ე სკოლას ეწვია და მომავალი წლიდან კალათბურთის სასკოლო ლიგის დაწყების შესახებ განაცხადა. მინისტრს თან ახლდნენ კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი **ბესიკ ლიპარტელიანი**, სახელოვანი ვეტერანი კალათბურთელი **ნიკოლოზ დერიუგინი** და ნაკრების წევრი **ვიქტორ სანიკიძე**. სტუმრები სპორტის გაკვეთილს დაესწრნენ, თუმცა მინისტრმა სასკოლო ლიგის შექმნის გარდა სხვა სიახლეც გააცნო მასპინძლებს – იწყება საჯარო სკოლების სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის ახალი ეტაპი, რომელიც დედაქალაქის 50-მდე სკოლას მოიცავს. ეს რომ საჭირო და აუცილებელი პროცესია, მინისტრი თავად დარწმუნდა იმავე 165-ე სკოლაში, სადაც დარბაზში მინიმალური პირობები დახვდა. აღნიშნა კიდეც, ასეთი დარბაზები უნდა გარემონტდესო, თუმცა თბილისის ბევრ სკოლას იმდენი პირობებიც არ აქვს, რაც 165-შია. არაფერს ვამბობთ ინვენტარზე, რომელიც სკოლებისთვის მთელი ქვეყნის მასშტაბით კიდევ უფრო დიდი პრობლემაა.

კალათბურთის სასკოლო ლიგაში ვეტერანი და მოქმედი კალათბურთელები მწვრთნელების სტატუსით ჩაებმებიან. 165-ე სკოლაში თავად ნიკოლოზ დერიუგინი იმუშავებს, რომელიც შემოდგომიდან უკვე მიიღებს 13-14 წლის მოზარდებს სავარჯიშოდ.

16-წლიანებმა კასპიისპირეთი ირგუნეს

საქართველოს 16-წლამდელ ფეხბურთელთა გუნდმა ბაქოში „კასპიის თასი“ მოიგო იმის მიუხედავად, რომ ტურნირი მარცხით დაიწყო. ჩვენმა ჭაბუკებმა შეჯიბრების პირველივე შეხვედრა თურქებთან წააგეს – 2:3. საბედნიეროდ, მომდევნო მატჩებში მობილიზება შეძლეს, მარცხი სწრაფად დაივიწყეს და ფინალში გავიდნენ, თუმცა ამაში იაპონიის ნაკრებიც დიდად დაეხმარათ.

მივყვეთ თანმიმდევრობით და სწორედ იაპონელებთან პაექრობაზე ვთქვათ ანუ ქვეჯგუფის მეორე შეხვედრაზე. ის ჩვენმა ბიჭებმა დიდი ანგარიშით მოიგეს – 6:2, თუმცა პირველ ტაიმს იმ ანგარიშით აგებდნენ, როგორითაც თურქებთან მატჩი დათმეს - 2:3. ოღონდ პრინციპულად განსხვავებული აღმოჩნდა მეორე ტაიმი, რომელშიც ჩვენებმა აზიელებს 4 უპასუხო გოლი გაუტანეს და დიდი ანგარიშით გაიმარჯვეს. გოლები **ლუკა ზარანდიამ** (დუბლი. ერთი თურქეთსაც გაუტანა), **ზურაბ მალანიამ**, **აკაკი შულაიამ**, **ილია კერძევაძემ** და **ცოტნე მესხმა** გაიტანეს.

ბოლო ტურის წინ ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ მხოლოდ უზბეკებთან შეხვედრაში ჩვენს შედეგზე არ ვიყავით დამოკიდებული – თურქეთს იაპონიასთან ფრეც ჰყოფნიდა. საბედნიეროდ, მოვლენები ისე განვითარდა, როგორც ვინატრებდით – ჩვენებმა უზბეკებს იმავე ზარანდიას და **გიორგი ბერიძის** გოლებით 2:1 სძლიეს (არადა, ანგარიში აზიელებმა გახსნეს, თუმცა ჩვენებმა ბოლომდე იბრძოლეს), ბევრისთვის მოულოდნელად კი იაპონიამ თურქეთი დაამარცხა. ამით ქვეჯგუფში პირველ ადგილზე ჩვენები გავიდნენ და ფინალში თამაშის უფლებაც მოიპოვეს, სადაც მასპინძელ აზერბაიჯანს შეხვდნენ. თამაში დაძაბული გამოდგა და ქართველებმა მინიმალური ანგარიშით მოიგეს – 1:0. გამარჯვების გოლი **რევაზ ბარამიძემ** გაიტანა. ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად ლუკა ზარანდია დაასახელეს.

შემოდგომაზე 16-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ჩაებმება, რომელსაც საქართველო უმასპინძლებს. ვფიქრობთ, ამ ბიჭებს ელიტ-რაუნდში გასვლის კარგი შანსი აქვთ, რადგან ამის უფლებას ოთხგუნდა ჯგუფიდან ორი ნაკრები მიიღებს. სავარაუდოდ, იმ პერიოდისთვის გუნდს ახალი მთავარი მწვრთნელი ეყოლება – **ნოდარ აკობიას** შეცვლის ახალგაზრდა სპეციალისტი **გიორგი დევდარიანი**, რომლის მუშაობაც ბოლო წლებში საყოველთაო ყურადღებას იქცევდა. მას ელიტ-რაუნდში თამაშის გამოცდილება უკვე აქვს – შარშან 19-წლამდელები გაიყვანა ფინალურ ეტაპზე. არსებითად, მისი ჩამოყალიბებულია ეს ასაკობრივი ნაკრები, რომელსაც ახლა **ოთარ კორღალიძე** უდგას სათავეში, რადგან დევდარიანმა თბილისის „დინამოში“ გადაინაცვლა.

19-წლამდელებმა ამ დღეებში ითამაშეს ევროპის ჩემპიონატზე, თუმცა კარის გამოჯახუნებას დასჯერდნენ. ტურნირი ხორვატიაში ჩატარდა და ჩვენები სწორედ მასპინძლებთან დამარცხდნენ – 1:3. მანამდე ბოსნიას 4:2 მოუგეს, ქვეჯგუფის ბოლო შეხვედრაში კი ავსტრიის ძლიერ ნაკრებსაც დააყრევინეს ფარ-ხმალი – 2:1. ოღონდ ეს შემდგომ ეტაპზე გასასვლელად საკმარისი არ აღმოჩნდა, რადგან ხორვატიამ სამივე თამაში მოიგო და ქვეჯგუფში პირველ ადგილზე გავიდა, ნახევარფინალში კი ერთი გუნდი გადიოდა.

რუბრიკას უძღვება
ირაკლი თავაძე

სიახლე!



კლასიკური პოეზია

სამი ტომის ფასი 21 ლარი

თემატური პლაკატები დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. ძართული ანბანი
2. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
3. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
4. ფერები
5. ფორმები
6. გარეული ცხოველები
7. გარეული ფრინველები
8. პროფესიები
9. რიცხვები
10. ხილ-ბოსტნეული
11. შინაური ცხოველები
12. ტანსაცმელი
13. ჰიგიენის ნივთები
14. საოჯახო ნივთები
15. ტრანსპორტი
16. წყლის ბინადრები
17. ინგლისური ანბანი
18. რუსული ანბანი
19. ჩემი საქართველო

ერთი ცალის ფასი 2.5 ლარი

თემატური პლაკატები მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქართული ხალხური საკრავები
6. ძვეწარმავლები საქართველოში
7. საქართველოს მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
11. ძველი რომი
12. მსოფლიოს დროშები
13. ზღვის დინებები
14. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
15. სამყაროს წარმოშობა
16. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
17. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ერთი ცალის ფასი 3 ლარი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. მირზა გელოვანი
6. აკაკი გაძრაძე
7. ვასილ ბარნოვი
8. პაოლო იაშვილი
9. სულხან-საბა ორბელიანი
10. იოსებ გრიშაშვილი
11. პოლიკარპე კაკაბაძე
12. გურამ რჩეულიშვილი
13. იაკობ ხუცესი
14. იოანე საბანისძე
15. დავით გურამიშვილი
16. ბესიკი
17. რევაზ ინანიშვილი
18. ალექსანდრე ჭავჭავაძე
19. აკაკი წერეთელი
20. რუსთაველი
21. ვაჟა-ფშაველა
22. თეიმურაზ I
23. ვახტანგ VI
24. გიორგი მერჩულე
25. გრიგოლ ორბელიანი
26. დავით ალმაშენებელი
27. გურამ ასათიანი

ერთი ცალის ფასი 4 ლარი

რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

1. ცისფერი ბალერინები - დეგა
2. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
3. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
4. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
5. ავტოპორტრეტი - რემბრანდტ ჰარმენს ვან რეინი
6. მენინები - ველასკესი
7. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
8. მხატვრის ბალი - კლოდ მონე
9. უძლები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
10. საძანელა - რენუარი
11. საკვირაო გასეირნება, გრან-ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა

ერთი ცალის ფასი 6.5 ლარი

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 577132283. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

ზღაპრის უცნაური პერსონაჟებით დასახლებული სამყარო



29 მაისს, ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში, პიანისტისა და მხატვრის ჯარჯი ბალანჩივაძის ნამუშევრების გამოფენა გაიხსნა, რომელიც ხელოვანის გარდაცვალების წლისთავს მიეძღვნა. საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილი იყო მხატვრის 101 ნამუშევარი. გამოფენას უამრავი დამთვალიერებელი ჰყავდა.

ჯარჯი ბალანჩივაძის ზღაპრული სამყარო გულგრილს არავის ტოვებს. ნამუშევრების თემატიკა იმდენად მრავალფეროვანია, რომ მის ნახატებში, როგორც მხატვარი ამბობდა – დამთვალიერებელი უსათუოდ იპოვის „თავის ნახატს“.

გია ბულაძე, მხატვარი

„ჯარჯი უდიდესი ხელოვანია, შესანიშნავი პიანისტი და შემსრულებელი. მისი ნამუშევრები მართლაც ბავშვის ნახატებს გვაგონებს, ეს მისი ხასიათის სისუფთავიდან მოდის. პირველად, როცა ჯარჯის ნამუშევრები ვნახე, გამაოგნებელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე იმ სითბომ, საოცრად თბილმა ფერებმა, რომელიც თითოეული ნახატიდან იღვრება. ჯარჯის მსგავსად არავის შეუძლია ფრინველის, მცენარისა თუ უცნაური ცხოველის დახატვა. დააკვირდით მათ ურთიერთობას ერთმანეთთან. ეს არ არის ცხოველი მიხატული ყვავილთან, ან ყვავილი მიხატული გოგონასთან. ისინი ერთმანეთთან თანაარსებობენ. ამას, რა თქმა უნდა, ბევრი მხატვარი ვერ ახერხებს. პროფესიონალი მხატვარიც კი ვერ იოცნებებს, ეს მხოლოდ ჯარჯის შეუძლია. ბოლო ნამუშევრებში განსაკუთრებით ჩანს მხატვრის შინაგანი განმარტოება. ამიტომ ის ქმნის ზღაპრულ ნამუშევრებს. აი, ასეთია ჯარჯის უნიკალური, საოცრად ბავშვური და ჯადოსნური სამყარო. ჯარჯი განუმეორებელია, მისი მსგავსი არც მხატვრობაში და არც მუსიკაში ჩვენ არ გვყავს!“

ბაია წიქორიძე
ხელოვნებათმცოდნე,
ბაია გალერეა

„ჯარჯი ბალანჩივაძის ნამუშევრები პირველად 80-იან წლებში ვნახე. შთაბეჭდილება დღემდე შემომრჩა. ეს იყო სრულიად განსხვავებული, საოცრად ბავშვური, თბილი, ნათელი და განსაკუთრებულად ზღაპრული სამყარო. 80-იან წლებში ჯარჯის მხატვრობამ სათავე დაუდო ძალიან ბევრ მიმდინარეობას ქართულ მხატვრობაში. მე ბედნიერი ვარ, რომ „ბაია გალერეამ“ ორჯერ უმასპინძლა ჯარჯი ბალანჩივაძის ნამუშევრების გამოფენას. ჯარჯის მხატვრული ხედვის მიღმა საკმაოდ რთული და სევდიანი სამყაროა. მის ნახატებში ზღაპრის უცნაური პერსონაჟები არიან დასახლებული. ვფიქრობ, ქართულ მხატვრობაში ჯარჯი ბალანჩივაძის პერსონაჟებმა თავისი ადგილი დაიმკვიდრეს, რაც მნიშვნელოვანი ნაწილია ქართული ხელოვნების“.

ანტონ ბალანჩივაძე,
ჯარჯი ბალანჩივაძის ვაჟი, მხატვარი

„ჯარჯის შემოქმედება ძალიან ღრმაა, მუსიკალური, თავისუფალი და გულახდილი. ყველაზე უფრო კრიტიკულად განწყობილი დამთვალიერებელიც კი, დადებითად განეწყობა მხატვრის მიმართ. ჯარჯიმ შეძლო ყველა ადამიანთან მისასვლელი კარის გაჭრა. მამა ამბობდა: „თითოეული ნახატი ერთგვარი წერილია, რომლის მიღმაც კონკრეტული ადრესატი იგულისხმება“. ვფიქრობ, გამოფენაზე მოსული დამთვალიერებელი, მისთვის განკუთვნილ „წერილს“ აუცილებლად იპოვის“.



მოამზადა
მაკა ყიფიანმა

ახალი განათლება

მთავარი
რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 577 132283.
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype:axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >